პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 219 (3687) | ოთხშაბათი, 16 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ცნობს რა სოფლის მეურნეობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დარგებში მდგომარეობას არადამაკმაყოფილებელად, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ და გადაუდებლად მიაჩნია მთელ რიგ დიდ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რაიონების ამაღლება [illegible] — დანუშდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მთელი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი [illegible] არის, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში სავსებით დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სასურსათო პროდუქტებზე და ნედლეულით უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1953 წლის 3 სექტემბერს

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 218).

კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა კულტივატორისა და გუთნის ნახნავში, როგორც ცნობილია, ხელით წარმოებს. ეს იძლევა შესაძლებლობას კარტოფილის ტუბერებთან ერთად ღრმულში შევიტანოთ ნაკელი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის. რამენსკოეს რაიონის იმავე კოლმეურნეობაში „წინ კომუნიზმისაკენ“ ქვიშიან ნიადაგებში კულტივატორის ნახნავში თესვისას ღრმულში შეჰქონდათ ნაკელისა და მინერალური სასუქების ნარევი 0,5 კილოგრამის რაოდენობით. მოსავალი მიღებულ იქნა 156 ცენტნერი ჰექტარზე. ღრმულში სასუქების შეტანის წესი შესაძლებლობას გვაძლევს უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ სასუქები. ასეთი მოსავლის უზრუნველსაყოფად საჭირო იქნებოდა ნიადაგში შეგვეტანა დაახლოებით 30-40 ტონა ნაკელი, ხოლო ღრმულში მისი შეტანისას საჭიროა მხოლოდ 10 ტონა. ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას შეუძლია დათესოს კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით კულტივატორისა და გუთნის ნახნავში და ამავე დროს ღრმულში შეიტანოს ნაკელი და მინერალური სასუქები. აქ ყველაფერი დამოკიდებულია ხელმძღვანელებზე, მათ მიერ ახალი წესის მნიშვნელობის გაგებაზე, მათს ბეჯითობასა და უნარზე მოაწყონ საქმე — სწორად გაანაწილონ ადამიანები, მოახდინონ მინდვრების მოკვალვა და სხვა სამუშაოები.

უნდა შევეხოთ თესლის საკითხს. ხალხში ბრძნული ანდაზაა: „ცუდი თესლისაგან კარგ ნაყოფს ნუ ელით“. სამწუხაროდ, კარტოფილის თესლს ჩვენში უგულებელყოფენ, ხოლო ზოგჯერ დანაშაულებრივადაც ეკიდებიან. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა თესავს ცუდ თესლს და ამასთან მოთესვის სრულ ნორმას არ იცავს. კარტოფილის მოთესვის ნორმის დაცვას კი განსაკუთრებული, ხოლო ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღებაში. მაგალითად, მოსკოვის ოლქის მოწინავე კოლმეურნეობები ჰექტარზე თესავენ 2-3 ტონას. კარგი მოვლით ისინი ჰექტარზე იღებენ 20-25 ტონას. სამწუხაროდ, კოლმეურნეობათა უმრავლესობა, ხელმძღვანელთა წაყრუებით, ჰექტარზე თესავს ერთ-ერთნახევარ ტონა კარტოფილს. რა თქმა უნდა, როცა თესავ წარმოებს ასეთი ნორმით, და ისიც ითესება ცუდი, წვრილი თესლი, ამასთანავე ნათესს ცუდად ამუშავებენ, არ შეიძლება კარტოფილის უხვ მოსავალს ველოდეთ.

მეურნეობის ასე გაძღოლა აღარ შეიძლება. ვინც თესვას სრული ნორმით არ აწარმოებს, ის აშკარად განუმზადებს კოლმეურნეობებს მცირე მოსავალს, და ასეთი მუშაკები სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი. ყოველ კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს კარტოფილის თავისი თესლი, ინახავდეს მას არაუგვიანეს სექტემბრისა, ამასთან ყველაზე უხვმოსავლიანი ნაკვეთებიდან აღებულს. ამ დროს კარტოფილი მშრალია, და კარგად შეინახება. უნდა აღმოიფხვრას ისეთი მდგომარეობა, როცა კარტოფილის თესლის შენახვა გადადებულია მოსავლის აღების უკანასკნელ დღეებამდე. მოსავლის აღება კი ხშირად გრძელდება ოქტომბრის დამლევამდე, ხოლო ზოგჯერ ნოემბერშიც. დადგა უგზოობის დრო, დაიწყო დილის ყინვები, ხოლო კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ შეუნახავს თესლი. ამიტომ ხშირად კარტოფილს სათესლედ ინახავენ დამზრალს, გაუშრობელს. როცა გაზაფხულზე ბურტებს ხსნიან, ნახევარი კარტოფილი გაფუჭებული აღმოჩნდება ხოლმე. თუ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კარტოფილს სათესლედ სექტემბერში შეინახავენ, ხოლო ამას უსათუოდ უნდა მივაღწიოთ, მაშინ გაზაფხულზე საკმაოდ კარგი სათესლე კარტოფილი გვექნება. საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ საადრეო ჯიშების კარტოფილის ნათესების ფართობი, ხოლო სამხრეთი რაიონების პირობებში მეტი ყურადღება მივაქციოთ კარტოფილის ზაფხულში დათესვას აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მეთოდით.

ამხანაგებო! სახალხო მეურნეობაში კარტოფილის მნიშვნელობა დიდია. კარტოფილი ძვირფასია არა მარტო როგორც კვების პროდუქტი, არამედ აგრეთვე როგორც ნედლეული სპირტის, სახამებლისა და სხვ. წარმოებისათვის. ამასთან ფართობის ერთეულზე კარტოფილი იძლევა დაახლოებით 4-ჯერ მეტ სპირტს, ვიდრე მარცვლეული კულტურები. კარტოფილი შესანიშნავი საკვებია ცხოველთათვის, უმთავრესად ღორისა და მეფეველი პირუტყვისათვის, აგრეთვე ფრინველის გამოსაკვებად.

აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვის მიერ მოყვანილი მონაცემების თანახმად, ერთი ფუთი ღორის ხორცის წარმოებას ხმარდება დაახლოებით 10 ფუთი კარტოფილი. თუ ჰექტარზე მოვიყვანთ 15 ტონა კარტოფილს, რაციონში მცირეოდენი მარცვლეულის დამატებისას შეიძლება 90 ფუთამდე ღორის ხორცის ნამატის მიღება. ბევრი რძისა და ერბო-კარაქის მიღება შეიძლება, თუ მოვაწყობთ ძროხების კვებას კარტოფილით.

კარტოფილის წარმოების გადიდების ამოცანა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. თუ საკმაო რაოდენობით გვექნება კარტოფილი, შეგვიძლია უახლოეს ორ წელიწადში მნიშვნელოვნად გავადიდოთ ღორის ხორცის, რძის, კარაქის წარმოება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ცენტრალური არაშავნიადაგიანი რაიონების როლი კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში. მხედველობაში მაქვს მოსკოვის, ლენინგრადის, რიაზანის, ტულისა და ზოგიერთი სხვა ოლქები, ბელორუსიის, ლატვიის. ლიტვისა და ესტონეთის რესპუბლიკები, სადაც ყველაზე ხელსაყრელი პირობებია კარტოფილის უხვი მოსავლის მოსაყვანად. სამწუხაროდ, ამ ოლქებს ცოტა კარტოფილი და ბოსტნეული მოჰყავთ.

დღემდე სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არასწორად გეგმავდნენ ბოსტნეული კულტურების თესვას. თუ რაიონმა მიიღო დავალება დაერგო 100 ჰექტარი კომბოსტო, იგი აუცილებლად უნაწილებდა ამ დავალებას ყველა კოლმეურნეობას. იგივე უნდა ითქვას კიტრის, პამიდორისა და სხვა კულტურების შესახებ. ეკონომიურად ეს სრულიად არასწორი პრინციპია. ბოსტნეული განსაკუთრებულ პირობებსა და განსაკუთრებულ ნიადაგს მოითხოვს. მეტი წილი ბოსტნეული კულტურები, განსაკუთრებით კომბოსტო, გაცილებით უფრო დიდ მოსავალს იძლევა დაბლობ ტენიან მიწაზე. ჩვენში კი თანაბარი დავალება ეძლევა იმ კოლმეურნეობასაც, რომელიც ნოყიერ მიწაზეა, წყალთან ახლო, და იმასაც, რომელსაც ასეთი მიწა არა აქვს. კოლმეურნეობები იძულებული არიან დათესონ კომბოსტო და სხვა ბოსტნეული კულტურები საამისოდ ნაკლებად გამოსადეგ მიწებზე. ასეთი კოლმეურნეობები უდიდეს შრომას ეწევიან და უდიდესი მატერიალური დანახარჯი აქვთ, მოსავალს კი მცირეს იღებენ.

როგორ უნდა განვალაგოთ ბოსტნეული კულტურები? ამ ამოცანის ყველაზე სწორი გადაწყვეტაა ბოსტნეული კულტურების ნათესის კონცენტრაცია ისეთ რაიონებში, რომელთა მიწები ყველაზე შესაფერია ამ კულტურების მოსაყვანად. ასეთ გზას დაადგნენ მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებმაც მთავრობის განსახილველად შეიტანეს პროექტი დადგენილებისა „კოლმეურნეობებში ბოსტნეული კულტურების ნათესის კონცენტრაციისა და მათი დამუშავების მექანიზაციის შესახებ“. მოსკოვის ოლქის შესახებ წარდგენილი წინადადებანი მთავრობამ განიხილა და დაამტკიცა. ახლა ბოსტნეულის და პირველ რიგში კომბოსტოს წარმოება ოლქის კოლმეურნეობებში თავმოყრილ იქნება ამ მიზნისათვის ყველაზე გამოსადეგ მიწებზე — მდინარეთა ნოყიერებში.

თუ წინათ მოსკოვის ოლქში ბოსტნეული 1.373 კოლმეურნეობას მოჰყავდა, ახლა სასაქონლო ბოსტნეულის წარმოება ძირითადად თავმოყრილი იქნება 252 კოლმეურნეობაში, მათ შორის ნოყიერ მიწებზე 141 კოლმეურნეობაში. ბოსტნეული კულტურების ნათესი ფართობები მდინარეების მოსკოვის, ოკის, იახრომის, კლიაზმისა და სხვა მდინარეთა ნოყიერებში გაფართოვდება 1952 წლის 6 ათასი ჰექტარიდან 12 ათას ჰექტარამდე 1954 წელს. ბოსტნეული კულტურების კონცენტრაციისა და მათი მოსავლიანობის გადიდების შედეგად მოსკოვის ოლქმა თითქმის მთლიანად უნდა უზრუნველყოს ქალაქ მოსკოვის და მოსკოვის ოლქის ქალაქების მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება კომბოსტოს, სტაფილოს, სუფრის ჭარხლისა და მნიშვნელოვანწილად პამიდორისა და კიტრის მხრივ ოლქში მოყვანილი პროდუქციით.

მოსკოველთა მაგალითისამებრ უნდა გადაწყდეს ბოსტნეულ კულტურათა ნათესების კონცენტრაციის საკითხი სხვა ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებშიც.

ბოსტნეულის წარმოების გასადიდებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაციას. არანორმალურად უნდა იქნას მიჩნეული, რომ მეტ წილ კოლმეურნეობებში ბოსტნეულ კულტურათა ნათესებს დღემდე ძირითადად ხელით ამუშავებენ. რატომ არ უნდა შემოვიღოთ მთელი რიგი ბოსტნეული კულტურების თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი? როცა ასეთ კითხვას აძლევენ სამინისტროს ხელმძღვანელებს, ისინი უპასუხებენ: კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები არა გვაქვსო. მაგრამ ეს უსაფუძვლო მოსაზრებაა. კომბოსტოს და პამიდორის ჩითილს ხომ, როგორც წესი, ახლაც ხელით რგავენ. მაშასადამე, საჭირო არ არის შრომადღეების არავითარი დამატებითი დახარჯვა, რომ კვადრატული წესით განვალაგოთ იგი. ვთქვათ, ამ წესით დარგვა რამდენადმე მეტი შრომის დახარჯვასაც რომ მოითხოვდეს, კოლმეურნეობა ამ შემთხვევაშიც მოიგებს შემდგომ სამუშაოებზე. მცენარეთა კვადრატული წესით განლაგებისას შესაძლებლობა მოგვეცემა მოვახდინოთ მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაცია ტრაქტორებით, ხოლო თუ მისაბმელი იარაღები არა გვაქვს, ცხენის კულტივატორებით. დროულად დამუშავება კი მოსავლის ნამატი მოგვბრუნავს. ამიტომ 1954 წლის გაზაფხულზე კომბოსტო, პამიდორი, ბადრიჯანი კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დავთესოთ. კვადრატულ-ბუდობრივი წესით უნდა დათესოს კიტრი, ყაბაყი, გოგრა, საზამთრო.

ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალიან ქოთნებში. ეს საყურადღებო წინადადება ოც წელზე მეტი ხნის წინათ წარმოადგინა პროფესორმა ედელშტეინმა. სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ჩითილი ყველგან გამოეყვანათ ტორფნეშომპალიან ქოთნებში. იქ, სადაც ამ მეთოდს იყენებენ, საუცხოო შედეგს აღწევენ. მოსკოვის ოლქის მიტიშჩის რაიონის კოლმეურნეობა „ილიჩის ხსოვნა“, რომელიც ტორფნეშომპალიან ქოთნებში გამოყვანილ ჩითილს რგავდა, 13 წლის მანძილზე ყოველწლიურად იღებდა საშუალოდ ჰექტარზე 447 ცენტნერ საადრეო კომბოსტოს მოსავალს. ტორფნეშომპალიანი ქოთნების გამოყენების მეოხებით კოლმეურნეებმა კომბოსტოს მოსავალი თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერით გაადიდეს.

მოსკოვის ახლოს გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაა. იქ მუშაობს აგრონომი ამხ. ფილატოვი. იგი თავისი საქმის ნამდვილი ენთუზიასტია. ტორფნეშომპალიან ქოთნებში ჩითილის გამოყვანით მან მიაღწია თვითეულ ჰექტარზე საადრეო ბოსტნეულის უხვმოსავლიანობასა და დიდ შემოსავლიანობას. 1953 წელს საბჭოთა მეურნეობაში დაიწყეს საადრეო კომბოსტოს აღება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება 25 ივნისიდან, ხოლო კალნაბისა — 11 ივნისიდან. საადრეო კომბოსტოს საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 298 ცენტნერი შეადგინა, ხოლო კალნაბისამ — 241 ცენტნერი. ერთი ჰექტარი საადრეო კომბოსტოსაგან მიღებულია 65 ათასი მანეთი შემოსავალი, ხოლო ჰექტარი კალნაბისაგან — 82 ათასი მანეთი. 1952 წელს საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს 1 აგვისტომდე მისცა 7 მილიონი 334 ათასი მანეთის საადრეო ბოსტნეული, ხოლო 1953 წელს ამავე დროისათვის რეალიზებულია 11 მილიონი 154 ათასი მანეთის საადრეო ბოსტნეული. ასეთია ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ამ ახალი შესანიშნავი წესის ეფექტიანობა. საქმე ახლა ის არის, რომ თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, რომელთაც ბოსტნეული მოჰყავთ, მოვაწყოთ ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალიან ქოთნებში.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მეტად ცოტას თესავენ ისეთ ძვირფას ბოსტნეულ კულტურებს, როგორიც არის ბადრიჯანი, წიწაკა, ყაბაყი, პამიდორი, ცერცველა. ეს ზღუდავს კვების მრეწველობის მიერ კონსერვების გამოშვების შესაძლებლობას. ამოცანა ის არის, რომ უახლოეს ერთ-ორ წელიწადში გავაფართოოთ ამ კულტურების თესვა და გავადიდოთ მათი მოსავლიანობა. მეტი საზამთრო და ნესვი უნდა დაითესოს იმ რაიონებში, სადაც საამისოდ ხელსაყრელი პირობებია.

დასასრულ, კვალსათბურებსა და სათბურებზე. მებოსტნეობის შემდგომ განვითარებას ვერ შევძლებთ, თუ კარგი სათბურ-კვალსათბურის მეურნეობა არ შევქმენით. დაახლოებითი გამოანგარიშებით მარტო ჩითილის გამოსაყვანად კოლმეურნეობებს 14 მილიონი კვალსათბურის ჩარჩო სჭირდებათ, წელს კი კოლმეურნეობებს სულ 5 მილიონამდე ჩარჩო ჰქონდათ. დღემდე მოწყობილი არ არის კვალსათბურის ჩარჩოებით კოლმეურნეობათა მომარაგება. კვალსათბურის ჩარჩოები, რომლებსაც ახლა ამზადებენ, გადიდებულ ფასებში იყიდება. კვალსათბურის მეურნეობის განვითარების საკითხები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს.

იქ, სადაც ამის შესაძლებლობაა, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სამრეწველო საწარმოთა საყარისი სითბო. მებოსტნეობის კოლმეურნეობები ხშირად განიცდიან კვალსათბურებისა და დათბუნებული გრუნტისათვის საჭირო ბიოლოგიური სათბობის ნაკლებობას, აგრეთვე სათბურების შესათბობად ნახშირისა და შეშის ნაკლებობას. ამავე დროს მრეწველობის თითქმის მუქთ საყრის სითბოს (ორთქლი, ცხელი წყალი) უმნიშვნელო რაოდენობით იყენებენ. ზოგიერთი კოლმეურნეობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სათბობის ეს წყაროები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სათბურებისა და კვალსათბურების გასათბობად.

მრეწველობის საყრის სითბოს იყენებს მოსკოვის ოლქის უხტომსკის რაიონის მე-3 ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობა. 1952 წელს კოლმეურნეებმა ააშენეს 1.080 კვადრატული მეტრი ფართობი სათბური და გასათბობად გამოიყენეს კოლმეურნეობის მახლობლად მდებარე ქარხნის გადამუშავებული ორთქლი. მაგრამ ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, ცოტაა. არ იყენებენ სამრეწველო საწარმოების საყრის სითბოს სათბურების გასათბობად დონბასში, ლენინგრადში, გორკში, სვერდლოვსკსა და სხვა ქალაქებში, თუმცა ამის უდიდესი შესაძლებლობაა.

საჭიროა ვურჩიოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომ სათბურების გასათბობად ფართოდ გამოიყენონ ორთქლით გათბობა, აგრეთვე ელექტროგათბობა, რაც შეამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას და გაადიდებს ბოსტნეულის მოსავლიანობას. მაგალითად, მოსკვორეკკის რაიონის კოლმეურნეობა „ილიჩის ხსოვნა“ 1952 წლიდან იყენებს სათბურების გათბობას ორთქლით. წელს იგი ორთქლით ათბობდა 1.200 სათბურის ჩარჩოს. 1 აგვისტოსათვის კოლმეურნეობამ სათბურის ერთ ჩარჩოზე სამუალოდ მიიღო მოსავალი: ორთქლით გათბობის დროს 28 კილოგრამი ბოსტნეული, ხოლო ბიოლოგიური სათბობით გათბობის დროს — 19 კილოგრამი. სათბურებში ბოსტნეულის მოყვანაზე დახარჯულ ერთ შრომადღეზე მოდის ორთქლით გათბობისას 26 კილოგრამი, ხოლო ბიოლოგიური სათბობით გათბობისას — 15 კილოგრამი ბოსტნეული.

ამ არტელის კოლმეურნეებმა 1952 წელს ჰექტარზე აიღეს კომბოსტოს მოსავალი 485 ცენტნერი და პამიდორისა — 260 ცენტნერი. ღია გრუნტის ბოსტნეულ კულტურათა ერთი ჰექტარის ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 56 ათასი მანეთი. კოლმეურნეობაში 1952 წელს მარტო ფულად შრომადღეზე გაცემულ იქნა 22 მანეთი და 76 კაპიკი.

ამრიგად, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების დარგში საჭიროა:

გავზარდოთ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება ამ კულტურების წარმოებით;

მოვახდინოთ კარტოფილისა და ბოსტნეულის თესვისა და მწკრივთა შორის დამუშავების მექანიზაცია, ფართოდ დავნერგოთ თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი;

ბოსტნეული კულტურების ნათესები განვალაგოთ ისე, რომ ისინი თავმოყრილი იყოს ნოყიერსა და დაბლობ მიწებზე;

მაქსიმალურად გავადიდოთ ნაკელისა და სხვა ადგილობრივი სასუქების დაგროვება, სასუქად ტორფის მოპოვება, რათა კარტოფილი და ბოსტნეული დაითესოს კარგად გაპატივებულ მიწებზე;

გავაფართოოთ სათბურებისა და კვალსათბურების მეურნეობა და შემოვიღოთ ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალიან ქოთნებში.

კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების დარგში დასახული ამოცანები დიდია. საჭიროა უმოკლეს ვადაში ამ კულტურების წარმოება გაფართოვდეს იმდენად, რომ მთლიანად დაკმაყოფილებულ იქნას ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება. ამ ამოცანის შესრულება ჩვენ შეგვიძლია. იგი უნდა გადაწყდეს და კიდევაც გადაწყდება.

4. მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ

დავძლევთ რა ჩამორჩენას მეცხოველეობის განვითარებაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველვყოთ მარცვლეულის წარმოების შემდგომი, უფრო სწრაფი ზრდა. ეს საჭიროა არა მარტო იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება პურზე, არამედ იმისთვისაც, რომ სწრაფად ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგი და პირველ რიგში მეცხოველეობა.

მარცვლეულის წარმოების დარგში უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს, ვიდრე სოფლის მეურნეობის ზოგიერთ სხვა დარგში. ჩვენ შედარებით მოკლე დროში არა მარტო აღვადგინეთ ომით დაზარალებული მარცვლეული მეურნეობა, არამედ კიდევაც გავაფართოეთ იგი. სწრაფი ტემპით იზრდება ისეთი ძვირფასი სასურსათო კულტურის ნათესების ფართობი, როგორიც არის ხორბალი. ამჟამად ხორბლის ნათესების ფართობი 8,1 მილიონი ჰექტარით მეტია, ვიდრე ომამდე იყო. დიდ შედეგებს მიაღწიეს მარცვლეული მეურნეობის განვითარებაში უკრაინამ, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის რაიონებმა. აქ აღდგენილი და გაფართოებულია ხორბლის ნათესი ფართობები, განსაკუთრებით გადიდდა შემოდგომის ხორბლის ნათესები და მისი მოსავლიანობა.

ბევრი კოლმეურნეობა და მთელი რაიონები ჰექტარზე 150-200 ფუთ ხორბალს იღებენ. ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ჰექტარზე 212 ფუთ საგაზაფხულო ხორბალს იღებს. ნიკოლაევის ოლქის ბაშტანკის რაიონის კოლმეურნეობებში 1952 წელს შემოდგომის ხორბლის მოსავალმა მთელ ნათეს ფართობზე 170 ფუთი შეადგინა ჰექტარზე.

ეს სერიოზული მიღწევებია. მაგრამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი მარცვლეულისა და განსაკუთრებით მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ჯერ კიდევ მცირე მოსავალს იღებს. ამ მხრივ ჩამორჩებიან არაშავნიადაგიანი ზოლის, ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების, ვოლგისპირეთის, დასავლეთ ციმბირისა და ყაზახეთის რაიონები.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ ყოველწლიურად გაადიდონ ხორბლის, ჭვავის, ქერის, შვრიისა და სხვა მარცვლეული კულტურების წარმოება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხორბალს. შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბლის წარმოების გადიდებისათვის, ამ კულტურის მომყვან ძველ რაიონებს გარდა, დიდი შესაძლებლობებია ცენტრალურ-შავნიადაგიანი ოლქების, ვოლგისპირეთის, უკრაინის ტყე-ველის ბევრ რაიონში, აგრეთვე არაშავნიადაგიანი ზოლის მთელ რიგ რაიონებში. ყველა საჭირო აგროტექნიკური პირობის დაცვისას შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბალი ამ რაიონებში უხვ მოსავალს იძლევა.

საჭიროა გადაჭრით დავძლიოთ ჩამორჩენა საფურაჟე მარცვლეული კულტურების წარმოებაში, რომელთა მოსავლიანობა ჯერ კიდევ მცირეა.

ჩვენში არასაკმაოა საბურღულე კულტურების ნათესების ფართობი და მცირეა მათი მოსავლიანობა, ამიტომ მკვეთრად შემცირდა წიწიბურას და ფეტვის დამზადება. წიწიბურას მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ როგორ ეკიდებიან ამ კულტურის მოყვანას? მას თესავენ, როგორც წესი, არა თავის დროზე, ცუდ მიწებზე, ნიადაგს ცუდად ამუშავებენ, არ აწარმოებენ დამატებით დამტვერვას, არ მიჰყავთ იქ ფუტკარი და სხვ. ნამდვილ ბრძოლას არ ეწევიან ფეტვის მოსავლიანობის გადიდებისათვის, ფართომწკრივად თესვის წესს თითქმის არ იყენებენ, ხოლო სადაც იყენებენ, მუდამ არ აწარმოებენ მწკრივთაშორის დამუშავებას. ამავე დროს ფეტვი ან სხვა კულტურა, რომელიც დათესილია ფართომწკრივად, დაუმუშავებლად უხვ მოსავალს არ მოგვცემს. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ საბურღულე კულტურების წარმოება ჩვენში საკმაოდ არ არის წახალისებული. დამზადების დროს 40 გირვანქა ფეტვს უფარდებენ 34 გირვანქა ხორბალს ან 40 გირვანქა

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ

გ. მ. მალენკოვმა

მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

11 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. მ. მალენკოვმა** მიიღო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია—კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე **კიმ ირ სენი**, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **პაკ დენ აი**, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე **ტენ ირ ლენი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **ნამ ირი**, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ტენ დიუნ თხიაკი**, რკინიგზების მინისტრი **კიმ ხე ილი** და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ლიმ ხე**.

საბჭოთა მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: **ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. მიქოიანი, მ. ზ.საბუროვი,** სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში **ს. პ. სუზდალევი,** სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში **პ. ი. საკუნი.**

მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში **ჯან ვენ-ტიანმა.**

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითად, მეგობრულ ვითარებაში.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

ჭვავს, რაც ხელს არ უწყობს ფეტვის მოყვანით კოლმეურნეთა დაინტერესების გადიდებას. საჭიროა დაწესდეს ამ კულტურების შენაცვლების სწორი ეკვივალენტი.

ჩვენ შეგვიძლია გავაფართოოთ ბრინჯის წარმოება სამხრეთის, ამიერკავკასიის, შუა აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და შორეული აღმოსავლეთის ოლქებსა და რესპუბლიკებში.

სერიოზული ნაკლია ის, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ფაქტიურად მარცვლეული კულტურების მიმართ არ იყენებენ წახალისების ისეთ მძლავრ ღონისძიებას, როგორიც არის დამატებითი ანაზღაურება. მოსავლიანობის მაჩვენებლები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია დამატებითი ანაზღაურება, გადიდებულია, და ბევრ კოლმეურნეობაში კოლმეურნეები ვერ იღებენ ანაზღაურებას. დადგა დრო, როცა საჭიროა გადასინჯულ იქნას დამატებითი ანაზღაურების გაცემის წესი.

არ უნდა დავიწყოთ ჩუმიძაც. საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა ამ კულტურაზე, გამოვავლინოთ მისი უხვმოსავლიანი ჯიშები და მოვაწყოთ მათი გამოცდა საცდელ სადგურებში და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების პირობებში.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კვების ყველა პროდუქტით უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების — ბარდის, ლობიოს, ოსპის, სოიის წარმოება.

ომისშემდგომი წლების მანძილზე ზეთოვანი კულტურების ნათესების ფართობი კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა და ომამდელ დონეს გადააჭარბა. მოსავლიანობის გადიდების მხრივ დიდი შესაძლებლობა აქვს მზესუმზირას კულტურას. სამწუხაროდ, მისი მოსავალი მცირეა. ამავე დროს ის კოლმეურნეობები და მთელი რაიონები, სადაც მზესუმზირას კარგად უვლიან, შესანიშნავ მოსავალს იღებენ. ამის მაგალითია სტალინოს ოლქის მარიინკის რაიონი, სადაც კოლმეურნეობები ჰექტარზე 18 ცენტნერზე მეტ მზესუმზირას თესლს იღებენ.

ამ კულტურის კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა რომ შემოვიღოთ, ეს შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ დამუშავების მექანიზაცია, განვახორციელოთ იგი ხარისხიანად და დროზე და მკვეთრად გავადიდოთ მზესუმზირას მოსავლიანობა. ამით საშუალება მოგვეცემა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება მცენარეული ზეთის მხრივ.

მზესუმზირასთან ერთად საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ საზეთე სელის, აბუსალათინის, არახისის, მდოგვის, წიწმატასელისა და სხვა ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოება.

დიდი წარმატებები გვაქვს მებამბეობის განვითარებაში. ბამბის ნათესები სარწყავ მიწებზე წელს 317 ათასი ჰექტარით აღემატება 1940 წლის ფართობს. 1952 წელს ნედლი ბამბის მოსავალი სარწყავ რაიონებში ჰექტარზე 6 ცენტნერით მეტი იყო, ვიდრე ომამდე. შარშან 70 პროცენტით მეტი ბამბა იქნა დამზადებული, ვიდრე 1940 წელს. ასობით კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 30-40 ცენტნერი ნედლი ბამბის მოსავალი აიღო, ხოლო ბევრმა ბრიგადამ და რგოლმა 50 ცენტნერი და უფრო მეტიც.

საჭიროა კვლავაც გავაფართოოთ ამ უძვირფასესი კულტურის წარმოება. იმ რუსპუბლიკებში, სადაც ბამბის მოყვანას მისდევენ, ამ საქმეში უზარმაზარი გამოუყენებელი რეზერვებია. თუ გავითვალისწინებთ, რომ შარშან მებამბეობის კოლმეურნეობათა მესამედმა ჰექტარზე 15 ცენტნერზე ნაკლები ნედლი ბამბის მოსავალი აიღო, ცხადია, რის მოცემა შეუძლია ამ კოლმეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებას ჰექტარზე თუნდაც 20-25 ცენტნერამდე. ასეთი ამოცანა დასახულია პირველ რიგში უაზახეთის მებამბეობის კოლმეურნეობების წინაშე, სადაც ბამბის მოსავალი დღემდე მცირეა — საშუალოდ ჰექტარზე 11-12 ცენტნერს უდრის. ნელა იზრდება ბამბის წარმოება ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში, თურქმენეთის სსრ ტაშაუზის ოლქში, ყარა-კალფაკეთის ასს რესპუბლიკაში. ბამბის წარმოების გადიდების დიდ შესაძლებლობებს არ იყენებენ უზბეკეთის სსრ ხვარაზმისა და სამარყანდის ოლქებში.

მებამბეობის შემდგომ განვითარებას აფერხებს სუსტი შუშაობა გამოუყენებელი სარწყავი მიწების აღდგენისა და ათვისების დარგში. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება მუშაობა მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საჭიროა უაღრესად მოკლე ვადებში უზრუნველვყოთ ბამბის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა და მთლიანად დავაკმაყოფილოთ მსუბუქი მრეწველობის მოთხოვნილება ამ ძვირფას ნედლეულზე.

სერიოზული წარმატებებია მოპოვებული შაქრის ჭარხლის წარმოებაში. ამ კულტურის ნათესი ფართობი 1953 წელს 1940 წელთან შედარებით 28 პროცენტით და უფრო მეტად გადიდდა, ამაღლდა ჭარხლის მოსავლიანობაც. შაქრის წარმოებამ ჩვენს ქვეყანაში ომამდელ დონეს გადააჭარბა ჯერ კიდევ 1950 წელს და მას შემდეგ სისტემატურად იზრდება. მაგრამ შაქარზე მოსახლეობის მოთხოვნილება აღემატება მის წარმოებას. ამოცანა ის არის, რომ ხუთწლედის დამლევისათვის შაქრის ჭარხლის წარმოება გავადიდოთ 65-70 პროცენტით, ჭარხლის საერთო მოსავალი ავიყვანოთ წელიწადში დაახლოებით 350 მილიონ ცენტნერამდე, ნაცვლად 220 მილიონისა, რაც 1952 წელს იყო. ამას შეიძლება მივაღწიოთ მეჭარხლეობის ძირითად რაიონებში ნათესი ფართობების გადიდებით, ახალ რაიონებში ჭარხლის გავრცელებით, უმთავრესად კი მისი მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდებით.

იმას, თუ რაოდენ დიდია შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების რეზერვები და რა ბევრს კარგავენ კოლმეურნეობები და სახელმწიფო იმის გამო, რომ დაბალია აგროტექნიკა, თვალნათლივ მოწმობენ ორი ოლქის — კურსკისა და ხარკოვის ოლქების შედარებითი მონაცემები. ეს ოლქები მეზობლები არიან და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ერთნაირი პირობები აქვთ. მაგრამ აი რამდენად სხვადასხვაა მათი შედეგები.

სახელმწიფოს ჩაბარდა შაქრის ჭარხალი ჰექტარზე ცენტნერობით:

	წლები			
	1940	1950	1951	1952
კურსკის ოლქი	92	94	139	96
ხარკოვის ოლქი	183	190	213	185

1952 წელს კურსკის ოლქის კოლმეურნეობებში შაქრის ჭარხალი დაითესა 131 ათასი ჰექტარი, ხოლო ხარკოვის ოლქის კოლმეურნეობებში — ერთიორად ნაკლები — 62 ათასი ჰექტარი. შაქრის ქარხნებს კი მათ თითქმის თანაბარი რაოდენობით ჩააბარეს შაქრის ჭარხალი: კურსკის ოლქმა 12,6 მილიონი ცენტნერი, ხოლო ხარკოვის ოლქმა — 11,5 მილიონი ცენტნერი. ეს უწინარეს ყოვლისა აიხსნება აგროტექნიკის სხვადასხვა დონით. აი მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ მინდვრის ძირითად სამუშაოთა ხანგრძლივობას 1952 წელს:

	კურსკის ოლქი	ხარკოვის ოლქი
ჭარხლის თესვა	20 დღე	10 დღე
პირველი გათხნა	45 „	30 „
გამოხშირვა	55 „	30 „
მოსავლის აღება	70 „	55 „

ხარკოვის ოლქში გაცილებით უკეთესად ხორციელდებოდა აგრეთვე შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა, ვიდრე კურსკის ოლქში. ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ კურსკის ოლქში არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას.

ყურადღებას მოითხოვენ აგრეთვე ისეთი დიდმნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურები, როგორიც არის საბოჭკოე სელი და კანაფი. უკანასკნელ წლებში შექმნილია ხელსაყრელი პირობები მათი განვითარებისათვის. ბევრი კოლმეურნეობა, რომელიც მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს სელისა და კანაფის პროდუქციის ჩაბარების გეგმებს, დიდ შემოსავალს იღებს ამ კულტურებისაგან — სელის ან კანაფის ერთ ჰექტარ ნათესზე 10 ათას მანეთს და უფრო მეტს. სელისა და კანაფის რაიონების მტს-ებისა და კოლმეურნეობებისადმი მთავრობის მიერ ომისშემდგომ წლებში გაწეული დიდი დახმარების მიუხედავად, ამ კულტურების წარმოების მდგომარეობა კვლავ მეტად არადამაკმაყოფილებელია. ბევრ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში შეიჩნეულია უდარდელი დამოკიდებულება საბოჭკოე სელისა და კანაფის წარმოების გადიდებისადმი. ამ კულტურების ნათესი ფართობები არათუ არ არის აღდგენილი ომამდელ დონემდე, არამედ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ბევრად შემცირდა 1950 წელთან შედარებით. ამ კულტურების მოსავლიანობა და საქონლიანობა კვლავ მცირეა. ნაკლებად ზრუნავენ კოლმეურნეობების უზრუნველყოფისათვის საბოჭკოე სელის საკუთარი თესლით.

განსაკუთრებით ცუდად არის მესელეობის აღდგენისა და განვითარების საქმე სმოლენსკის, ივანოვოს, კოსტრომის, კიროვის, ველიკიე ლუკის, ბრიანსკისა და ტიუმენის ოლქებში, ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეებში და მეკანაფეობის განვითარების საქმე ბაშკირეთის ასსრ, მორდვეთის ასსრ, ორიოლის, ტამბოვის, გორკის ოლქებში და ბელორუსიის სს რესპუბლიკაში.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც აფერხებს მესელეობისა და მეკანაფეობის განვითარებას, არის ამ კულტურების მოყვანის, აღებისა და განსაკუთრებით პირველადი დამუშავების სუსტი მექანიზაცია.

თვითეულ კოლმეურნეობაში დიდი შრომა იხარჯება სელის გაფენაზე, დალბობაზე, საფენიდან აღებაზე. მუშახელის ნაკლებობისა და სუსტი მექანიზაციის გამო კოლმეურნეობები ამ სამუშაოს დროზე ვერ ასრულებენ და დიდძალ სელს კარგავენ. სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი მესელეობის ყველა პროცესის მექანიზაციას. საყურადღებოა სელის დამუშავების ცდა, რომელიც ნოვოსიბირსკის ოლქში მოეწყო. შარშან ამ ოლქის მასლიანინოს და ბოლოტნოეს რაიონების 10 კოლმეურნეობა ცდის წესით მინდორშივე აბარებდა სელს სელის ქარხნებს. ქარხნებში მოეწყო სელის გალეწვა და დამუშავება. ამის შედეგად ბოჭკოს სასაქონლო გამოსავალი ამ კოლმეურნეობებში სამ-სამნახევარჯერ გადიდდა და თესლისა — ორ-ოთხჯერ.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრო მოვალენი არიან შეისწავლონ ეს გამოცდილება და მიაღწიონ მის ფართოდ გამოყენებას. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ კოლმეურნეობებს შეეძლოთ ჩააბარონ სელის ქარხნებს გაულეწავი სელი, ხოლო სელის ქარხნებმა უნდა მოაწყონ გალეწვა, თესლის გაწმენდა, სელის ჩალის დალბობა და გადამუშავება. ქერელის ქარხნებში უნდა მოეწყოს კანაფის ჩალის მიღება. უნდა გაჩაღდეს მუშაობა სელის ქარხნებთან და კანაფის ქარხნებთან დამბალი სელისა და კანაფის სამრეწველო მომზადების საამქროთა ასაშენებლად და სელის სალეწი საამქროების ასაშენებლად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას თამბაქოს, წეკოს, ჩაის, ხალის, ყურძნის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის.

* * *

მოსავლიანობის გადიდება მთავარი ამოცანაა მიწათმოქმედებაში. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი ღონისძიებანი. საჭიროა ჯეროვნად ვიმუშაოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის. თესლბრუნვის შემოღება და განსაკუთრებით ათვისება ცუდად არის მოწყობილი ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. ამის ძირითადი მიზეზია ბალახების მეთესლეობისადმი უყურადღებობა.

საჭიროა გადაჭრით გამოვასწოროთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობის საქმე, გავადიდოთ მათი მოსავლიანობა და უახლოეს ორ-სამ წელიწადში არა მარტო უზრუნველვყოთ ბალახების თესვის საგეგმო დავალებათა შესრულება, არამედ კიდევაც შევქმნათ საჭირო რეზერვები. უნდა განახორციელოთ ღონისძიებანი, რათა თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მოიმარაგოს თავისთვის საჭირო მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების საკუთარი თესლი. ამასთანავე იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ მოვაწყოთ სასაქონლო მეთესლეობა, უწინარეს ყოვლისა იმ რაიონებში, სადაც შეიძლება ბალახების თესლის უხვი მოსავლის მაღება.

მეტი უნდა მოვიყვანოთ ხანჭკოლა სასუქად. ჩრდილოეთის ბევრ რაიონში სათესლედ დათესილი ხანჭკოლა ყოველთვის ვერ მწიფდება. ამიტომ ჩრდილოეთის რაიონების კოლმეურნეობები, ამასთან საკმაოდ დიდი ზოლისა, ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფენ თავისთვის საჭირო თესლის მომარაგებას. უნდა გამოირკვეს რაიონები, სადაც დაითესება ხანჭკოლის სასაქონლო თესლი.

მოსავლიანობის გადიდებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს დროულად მოხნულ და კარგად დამუშავებულ ანეულსა და მზრალს, თესვის საუკეთესო ვადებს. მთელ რიგ რაიონებში საშემოდგომო კულტურების მცირემოსავლიანობა იმით აიხსნება, რომ ამ კულტურებს გვიან თესავენ ანეულში, რომელიც არადროულად და ცუდად დამუშავებულია და საკმაოდ არ არის გაპატივებული ან თესავენ არასაანეულო წინამორბედის ახალ ნახნავში. განა შესაწყნარებელია, რომ არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში ბევრ კოლმეურნეობას საშემოდგომო კულტურების თესვა გადააქვს სექტემბრის მეორე ნახევარში, ხოლო ზოგიერთი კოლმეურნეობა ოქტომბერშიც კი თესავს. ცხადია, რომ აგროტექნიკის ასეთი დარღვევა იწვევს საშემოდგომო კულტურების მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვას.

საგაზაფხულო კულტურების მცირე მოსავლის ერთ-ერთი მიზეზი ბევრ რაიონში ის არის, რომ დღემდე ეს კულტურები დიდ ფართობებზე ითესება გაზაფხულის ნახნავში, ცუდად მომზადებულ ნიადაგში და გვიან. 1951 წელს კოლმეურნეობებში გაზაფხულის ნახნავში დაითესა საგაზაფხულო კულტურების 38 პროცენტი, 1952 წელს — 33 პროცენტი და 1953 წელს — 41 პროცენტი, ხოლო ისეთ ოლქებში, როგორიც არის სმოლენსკის, პსკოვის, ნოვგოროდის, ველიკიე ლუკის, ვოლოგდისა და კოსტრომის ოლქები, საგაზაფხულო კულტურების თესვა გაზაფხულის ნახნავში 1953 წელს შეადგენდა 80-90 პროცენტს. გასაგებია, რომ ასეთი მუშაობის დროს ძნელია უხვი მოსავლის მიღება. ასეთ მდგომარეობას აღარ შეიძლება შეეგუოთ. წელსვე უნდა მოვხნათ მზრალად მომავალი წლის მთელი საგაზაფხულო კულტურების ფართობი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თესლის საკითხს. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ცუდად ზრუნავს საკუთარი თესლისათვის და ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იღებს თესლს სესხად სახელმწიფოსაგან. სათესლე მარცვლეულის გადაზიდვას უნდება ბევრი დრო, უნაყოფოდ არეს გამოყენებული უამრავი შრომა, სახსრები და ტრანსპორტი. მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის მარტო ცენტრალური ოლქების კოლმეურნეობებს მიეცათ 500 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული კულტურების თესლი ანუ საჭიროების 30 პროცენტამდე. ამ თესლის გადაზიდვასა და გაწმენდაზე დაიხარჯა 30 მილიონ მანეთზე მეტი სახელმწიფო თანხა, გარდა კოლმეურნეობების მიერ გაწეული ხარჯებისა. აქ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა რამესაც. ხშირად ხდება, რომ სესხად მიღებული თესლი ვერ ეგუება იმ რაიონის ნიადაგისა და ჰავის თავისებურებებს, სადაც ეს თესლი უნდა დაითესოს, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში არ შეიძლება უხვ მოსავალს მოველოდეთ.

დროა წესრიგი დავამყაროთ თესლის მეურნეობაში. საჭიროა უზრუნველვყოთ 1954-1955 წლებში ყველა კულტურის ჯიშიანი თესლის თესვა. მიმდინარე წელს მთავრობამ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ფონდისათვის თესლის შენახვის ახალი წესი შემოიღო. სათესლე ფონდში შენახულ უნდა იქნას საუკეთესო ვადებში გადარჩეული ჯიშიანი თესლი უწინარეს ყოვლისა სათესლე ნაკვეთების მოსავლიდან, თესვის აგროტექნიკური ნორმების მიხედვით. თუ საკმარისი არ არის სათესლე ნაკვეთების გადარჩეული თესლი, შენახულ უნდა იქნას საერთო ნათესის ყველაზე მოსავლიანი ნაკვეთების საუკეთესო თესლი სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე. ახლა ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეეძლოთ სავსებით შოიმარაგონ თავისთვის საუკეთესო უხვმოსავლიანი ჯიშების გადარჩეული თესლი. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტები, როცა თესვის ნორმებს ამცირებენ.

როგორც სერიოზული ნაკლი, უნდა დავგმოთ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრი ხელმძღვანელის ამ უკანასკნელ წლებში დაფიქრებული არასწორი დამოკიდებულება ადგილობრივ ინიციატივების გამოყენებისადმი. არსებობს ამ საქმის მაგნე შეუფასებლობა. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის მდგომარეობა, რომ ნაკელის დაგროვებისა და ტორფის დამზადების გეგმები არ სრულდება.

ცნობილია, რომ ნაკელი უძვირფასესი სახეობის სასუქია. ხუთწლედის დამლევისათვის შეიძლება გვქონდეს წელიწადში 400 მილიონ ტონამდე ნაკელი, რაც დაახლოებით 20 მილიონ ტონა მინერალურ სასუქს უდრის, ანუ 3,5-ჯერ მეტია, ვიდრე მრეწველობა უშვებს ახლა. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ნაკელის დაგროვებას, წესიერად შენახვას და ნიადაგში შეტანას. ბოლო უნდა მოეღოს ნაკელის უყაირათო შენახვას, რადგან თუ ნაკელი ცუდად ინახება, იგი იფიტება, კარგავს თავის კარგ თვისებებს. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მეცხოველეობის ფერმებთან უნდა აშენდეს ნაკელსაცავები, უზრუნველყოფილ იქნას, რომ ნაკელი მთლიანად და თავის დროზე გაიტანონ მინდვრად და ჩახნან ნიადაგში. უნდა განხორციელდეს აგრეთვე ღონისძიებანი ისეთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის, როგორიც არის ნაკელის დატვირთვა-გადატვირთვა და მინდვრად მობნევა, მოგვარდეს ნაკელმოსაბნევი და ნაკელსატვირთავი მანქანების გაკეთება და ასეთი მანქანები დაინერგოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

მეკავე კორდიან-ეწერვანი ნიადაგების რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ნიადაგების დაკირიანებას, ხოლო ბიცნარი ნიადაგების რაიონებში დათაბაშირიანებას. ამ მიზნით საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ კირის წარმოება საშენი მასალების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში, მოვაწყოთ თაბაშირის მოპოვება, დაფქვა და კოლმეურნეობებში მიტანა.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ადგილობრივი სასუქების გამოყენებასთან ერთად მკვეთრად უნდა გავადიდოთ მინერალური სასუქების წარმოება. მთავრობას განზრახული აქვს გაადიდოს მინერალური სასუქების გამოშვება. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები 1953 წელსვე მიიღებენ მრეწველობისაგან 6 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს. ეს თითქმის ორჯერ გადააჭარბებს სასუქების იმ რაოდენობას, რაც სოფლის მეურნეობას 1940 წელს მიეცა. შემდგომ წლებში სასუქების წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდება. წესრიგი უნდა დამყარდეს მინერალური სასუქების შენახვაში და მიღწეულ იქნას მათი სწორად გამოყენება. საჭიროა აგრეთვე უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ბაქტერიული სასუქები.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ახალ საფეხურზე აიყვანს მიწათმოქმედების კულტურას, გამოიწვევს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვან ზრდას.

5. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში მთავარი და გადამწყვეტი როლი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ეკუთვნით. ამჟამად მტს-ებშია 969 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), ანუ 74 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდე იყო, 255 ათასი მარცვლეულის კომბაინი, ანუ 66 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს იყო, და ბევრი სხვა მანქანა.

ომისშემდგომ წლებში მტს-ები ბევრი ახალი მანქანით შეივსო. თუ ომამდე ძირითადად თვლიანი ტრაქტორები იყო, ომისშემდგომ წლებში მიღებულია ბევრი დიზელიანი მუხლუხა ტრაქტორი. მათი რაოდენობა 1940 წელთან შედარებით 14-ჯერ გადიდდა. შექმნილია ახალი ტიპის სათოხნი ტრაქტორები: „ბელარუსი“, „კდმ-35“, „ხტზ-7“, ათვისებულია საკიდი მანქანებისა და იარაღების წარმოება. დიდდება ბამბის ასაღები მანქანების, ჭარხლის კომბაინებისა და სხვა მანქანების გამოშვება.

საკოლმეურნეო წარმოებაში წლითიწლობით იზრდება მექანიზაცია, მცირდება ხელის შრომა, დიდდება კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებაზე.

სამწუხაროდ, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრ მუშაკს, როგორც ჩანს, დღემდე არ შეუთვისებია, რომ მექანიზაცია ის ძალაა, ურომლისოდაც ვერ შევინარჩუნებთ ვერც ჩვენს განვითარების ტემპებს, ვერც წარმოების დიდ მასშტაბებს. ბევრი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო სუსტად ხელმძღვანელობს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, არ ახორციელებს სათანადო კონტროლს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და კეთილხარისხოვნად შესრულებისადმი, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მტს-ების მუშაკთა შერჩევისა და აღზრდის საქმეს. მტს-ების მუშაობის ძირითადი ნაკლია ტექნიკის სრულიად არადამაკმაყოფილებელი გამოყენება. ეს არის სოფლის მეურნეობის მთელი რიგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის მთავარი მიზეზი.

ძირეულად უნდა შეეცვალოთ დამოკიდებულება მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი, გადაჭრით აღმოვფხვრათ მათი საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებანი, უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ძირითადი ამოცანაა კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის უზრუნველყოფა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის გადიდება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მტს-ები მომსახურებას უწევენ. მტს-ებს მოეთხოვებათ დაამთავრონ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოყვანის სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გაიაღონ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, დანერგონ საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უნდა უზრუნველყონ ყველა დამუშავებულ ფართობზე უხვი მოსავლის მიღება. ამის მიღწევა შეიძლება, თუ ნაყოფიერად გამოვიყენებთ ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს, მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შეავასრულებთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. მაგრამ ბევრი მტს-ი არ ასრულებს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ისინი არღვევენ აგროტექნიკას, აჭიანურებენ სამუშაოთა ვადებს, ცუდად ამუშავებენ მიწას და არაკეთილხარისხოვნად თესავენ, რასაც გარდუვალად მოსდევს მოსავლის დაკლება. შარშან სამუშაოთა გეგმა არ შეუსრულებია მტს-ების ნახევარზე მეტს. საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვის ყველა სამუშაოს 20 პროცენტზე მეტი შესრულებულია დაგვიანებით. ცუდად სრულდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორიც არის ანეულისა და მზრალის ხვნა, თივის აღება, საკვების დასილოსება. მოსავლის აღების დროს ძდგილი აქვს მნიშვნელოვან დანაკარგებს. ეს იმიტომ ხდება, რომ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილი მინდვრის სამუშაოთა პერიოდში მომცდარია. გამომუშავების ცვლის ნორმები 1952 წელს ტრაქტორისტთა მხოლოდ 34 პროცენტმა შეასრულა. განსაკუთრებით ცუდად არის ორგანიზებული ტრაქტორების გამოყენება ნოვოსიბირსკის, კალინინის, სმოლენსკის, იაროსლავლის, ველიკიე ლუკის, პსკოვის, ნოვგოროდის ოლქებისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის მტს-ებში.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მტს-ები უზრუნველყოფილი არ არიან მექანიზატორთა კვალიფიციური კადრებით. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მდიდარი და რთული ტექნიკა მარჯვე მუშის ხელს მოითხოვს. მაგრამ ეს ტექნიკა სეზონის მუშაკთა ხელშია, რომლებსაც კოლმეურნეობები მინდვრის სამუშაოების დროს გამოჰყოფენ ხოლმე. ტრაქტორისტი არსებითად მტს-ის დირექტორს არ ემორჩილება. მოესურვება — გამოვა სამუშაოდ, ხოლო თუ არ გამოვა, დირექტორისთვის ძნელია მასზე გავლენის მოხდენა. დღეს იგი ტრაქტორზე მუშაობს, ხვალ კი კოლმეურნეობაში დაბრუნდება ანდა წარმოებაში წავა. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება სუსტი საწარმოო დისციპლინა და კადრების დიდი დენადობა. სტატაქტორო ბრიგადებიდან ყოველწლიურად გადის ტრაქტორისტთა 30-35 პროცენტი, ხოლო მისაბმელ იარაღებზე მომუშავეთა შემადგენლობა ბევრ სატრაქტორო ბრიგადაში წლის მანძილზე რამდენჯერმე იცვლება.

თუ გვინდა გადაჭრით გავაუმჯობესოთ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობა, უნდა შევქმნათ მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრები, რომლებსაც უნარი ექნებათ ყველაზე სრულად და ნაყოფიერად გამოიყენონ ტექნიკა და უზრუნველყონ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა. ამიტომ უნდა დაწესდეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირები და მათი თანაშემწეები, ექსკავატორის მემანქანეები და მათი თანაშემწეები, საწვავის ჩამსხმელ-აღმრიცხველები მუდმივი მუშები არიან და ჩაირიცხებიან მტს-ის შტატში. როცა მინდვრად მუშაობა არ არის, ეს მუშაკები პროფესიათა შეთავსების წესით უნდა მუშაობდნენ სარემონტო სახელოსნოებში, კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის სამუშაოზე და სხვა სამუშაოებზე მტს-ში. მისაბმელ იარაღებზე — სასოფლო-სამეურნეო და მიწისათხრელ მანქანებზე მომუშავენი, კომბაინერის თანაშემწეები მტს-ის შტატში უნდა ჩაირიცხონ როგორც სეზონური მუშები.

აგრეთვე უნდა გადიდდეს სატრაქტორო ბრიგადების მუშაკთა პირადი მატერიალური დაინტერესება. მანქანების ყველაზე ნაყოფიერი გამოყენებით და უხვი მოსავლის მიღებით, თავისი დანიშნულება გაამართლა პრაქტიკაში სატრაქტორო ბრიგადების მუშაკთა შრომის შრომადღეებისა და სანარდო შეფასების მიხედვით ანაზღაურების სისტემამ, რომლის დროსაც მუშაკებს დაერიცხებათ ხელფასი გამომუშავების ნორმის შესრულებისა და მიღებული პროდუქციის რაოდენობისათვის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის მიხედვით. ეს წესი მომავალშიც უნდა დარჩეს ძალაში.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გაგრძელება

სატრაქტორო ბრიგადების მუშებისათვის დასახულია მტს-ებისაგან შრომადღეების მიხედვით ფულადი ანაზღაურების გადიდება. გარდა ამისა, ისინი მიიღებენ, ისევე როგორც დღემდე იღებდნენ, ანაზღაურებას კოლმეურნეებთან ერთად შრომადღეების მიხედვით; მათ შენახებათ დამატებითი ანაზღაურება მოსავლიანობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამასთან იცვლება ტრაქტორისტებისა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკებისათვის საგარანტიო მინიმუმის მიხედვით მარცვლეულით ნატურანაზღაურების წესი. წინათ ისინი მარცვლეულს კოლმეურნეობაში იღებდნენ, ახლა კი მარცვლეულს მანქანა-ტრაქტორთა სადგური მისცემს. სასურსათო კულტურების მარცვლეულს, რომელიც სატრაქტორო ბრიგადების მუშებს საგარანტიო მინიმუმის მიხედვით ეკუთვნით გამომუშავებულ შრომადღეებზე, აგრეთვე კომბაინითა და სხვა მანქანებით მოსავლის აღებაზე მუშაობისათვის, კოლმეურნეობები სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში ჩააბარებენ, ნატურანაზღაურებასთან ერთად. სატრაქტორო ბრიგადების მუშებისათვის მიცემულ სასურსათო მარცვლეულს მანქანა-ტრაქტორთა სადგური მიიღებს დამამზადებელ ორგანიზაციებში.

როცა ჩვენში მატულობს მოსავლიანობა, დიდდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ფართოვდება კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება და, ამის მეხუთით, დიდდება კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა და შრომადღის ანაზღაურება, — მნიშვნელოვნად გადიდდება ტრაქტორისტებისა და სატრაქტორო ბრიგადების სხვა მუშაკების ხელფასი. ეს უეჭველად შექმნის კადრების მყარობას. ამით უზრუნველყოფილ იქნება ტექნიკის უკეთესი გამოყენება.

მომწიფდა იმის საჭიროება, რომ შეიცვალოს ტრაქტორისტთა, კომბაინერთა და სხვა მასობრივი კვალიფიკაციების მუშაკთა მომზადების სისტემა. დღემდე ამ კადრების მომზადებას საქმე ძალიან ცუდად იყო დაყენებული. 2-3 თვეს გაატარებს კურსებზე ახალგაზრდა, შემოატარებენ მას რამდენჯერმე მანქანის გარშემო, შემდეგ კი ხელში „საკეს“ მისცემენ — და ტრაქტორისტი მზად არის. გაზაფხულზე ეს ტრაქტორისტი როგორმე გავა მინდვრად, ხოლო თუ მანქანა დადგა, იგი ტრაქტორთან დაჯდება და-ელის, სანამ მექანიკოსი მოვიდოდეს, რადგან არ იცის, რა ქნას. ამიტომ გამომუშავებაც მცირეა. მანქანაც ხშირად ტყდება, მუშაობაც არ არის კეთილხარისხოვანი. მოკლევადიან კურსებზე კადრების მომზადების დღემდე არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს საჭირო ტექნიკური ცოდნის შეძენას. ეს საქმე სერიოზულად უნდა გამოსწორდეს. უნდა მოვამზადოთ მტს-ებისათვის ფართო პროფილის ტრაქტორისტი-მემანქანეები, რათა მათ შეეძლოთ ტრაქტორით, კომბაინით და სხვა მანქანებით მუშაობა და ჰქონდეთ საზეინკლო, სარემონტო და სხვა სამუშაოთა შესრულების ჩვევები. კადრების მომზადების საქმე ჯერჯერობით რომ დავაყენოთ, მექანიზაციის არსებული სკოლები უნდა გარდავქმნათ მექანიზაციის სასწავლებლებად, ამასთან გავადიდოთ სწავლების ვადა. უნდა შემოვიღოთ სწავლების სისტემა, რომელიც გამოყენებულია სახელოსნო სასწავლებლებსა და მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში. მექანიზატორთა კადრების მომზადების სისტემა სწრაფად უნდა გარდავქმნათ. ამ დიდმნიშვნელოვანი მუშაობის გადადება ერთი დღითაც არ შეიძლება.

უკანასკნელ წლებში ბევრი გამოცდილი, საქმის კარგი მცოდნე ტრაქტორისტი წავიდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან და ქალაქად სამრეწველო საწარმოებში მუშაობს. კარგი იქნებოდა მიგვეგმართნა ყოფილი მექანიზატორებისათვის მოწოდებით დაუბრუნდნენ მტს-ში მუშაობას. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა, როცა ტრაქტორისტები მტს-ის შტატში იქნებიან და გადიდებულ გარანტირებულ ანაზღაურებას მიიღებენ, ბევრი ყოფილი ტრაქტორისტი ხალისით წამოვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში სამუშაოდ. უნდა გავაფრთხილოთ საწარმოთა დირექტორები, რომ ხელი არ შეუშალონ ამას.

ცალკე უნდა შევეხოთ მტს-ების ხელმძღვანელი კადრების შერჩევის საკითხს. 1951 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა მთავრობის გადაწყვეტილება „მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკებს დაუწესდათ გადიდებული განაკვეთები, პრემიები მოსავლიანობის მიღწევისათვის და სხვა სახეობათა წახალისება.

მაგრამ ბევრმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანომ არ განახორციელა ღონისძიებანი კვალიფიციური კადრებით მტს-ების განსამტკიცებლად, არ გამოიყენა ამ დადგენილებით შექმნილი შესაძლებლობანი და ცოტა რამ გააკეთა მტს-ში სამუშაოდ ინჟინერებისა და ტექნიკოსების გასაგზავნად.

ამავე დროს მტს-ების ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი უმრავლესობის ინჟინერ-ტექნიკური და აგრონომიული მომზადების დონე ვერ აკმაყოფილებს მსხვილი მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის მოთხოვნებს. მოვიყვან ზოგიერთ მონაცემებს, თუ როგორია მტს-ების ხელმძღვანელი კადრების შემადგენლობა განათლების მიხედვით.

შემადგენლობა განათლების მიხედვით (პროცენტობით).

	უმაღლესი	საშუალო სპეციალური	დაბალი (პრაქტიკოსები)
დირექტორები	22,6	47,0	31,4
მთავარი ინჟინერები	14,8	20,8	64,4
სახელოსნოს გამგეები	1,3	8,8	89,9

ყურადღება უნდა მიექცეს ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენას, როცა დირექტორის, მთავარი ინჟინრის და სახელოსნოს გამგის თანამდებობაზე აყენებენ ისეთ ადამიანებს, რომელთაც სპეციალური განათლება არა აქვთ. გასაგებია, რომ რაკი საჭირო მომზადება არა აქვთ, ისინი ხშირად თავს ვერ ართმევენ მინდობილ საქმეს. სრული შესაძლებლობაა იმისა, რომ ამ თანამდებობებზე დაწინაურონ მომზადებული, სპეციალური განათლების მქონე ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ წარმატებით უხელმძღვანელონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დიდ, რთულ მეურნეობას.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სასწავლებლებში უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადება ისე მიმდინარეობს, რომ სათანადოდ გათვალისწინებული არ არის, თუ რამდენად ესაჭიროება ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. განსაკუთრებით ჩამორჩება მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მომზადება. თუ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა საერთო რიცხვი 1940-დან 1950 წლამდე 53 პროცენტით გადიდდა, ინჟინრის განათლების მქონე სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რიცხვი გადიდდა მხოლოდ 12 პროცენტით.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ უზრუნველვყოფთ მტს-ებს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით. საჭიროა მტს-ების დირექტორებად იყვნენ, როგორც წესი, ინჟინერ-მექანიკოსები ან უმაღლესი განათლების მქონე აგრონომები, რომლებსაც აქვთ საჭირო მომზადება სოფლის- მეურნეობის მექანიზაციის დარგში. მტს-ების მთავარი ინჟინრებისა და მთავარი აგრონომების თანამდებობაზე უნდა დაინიშნონ უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები.

შესაძლოა იკითხონ, მტს-ების იმ დირექტორებს რაღა ვუყოთ, რომლებსაც სპეციალური განათლება არა აქვთ, მაგრამ თავი კარგ ორგანიზატორებად გამოიჩინეს. რა თქმა უნდა, ამ საქმეში არ შეიძლება ხელაღებით მიდგომა. ჩვენში ცოტა როდია მტს-ების ისეთი დირექტორები, რომლებსაც თუმცა სპეციალური განათლება არა აქვთ, მაგრამ კარგად შეუსწავლიათ თავიანთი საქმე პრაქტიკაში და უნარიანად ხელმძღვანელობენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს. ასეთი მუშაკები უნდა დავტოვოთ მათს თანამდებობებზე და დავეხმაროთ განათლების მიღებაში.

ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრებით მტს-ების განმტკიცებისათვის საჭიროა უახლოეს დროში მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან მოვიზიდოთ ინჟინერ-მექანიკოსები და გავგზავნოთ ისინი მტს-ებში დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად, სარემონტო სახელოსნოების გამგეებად. ტექნიკოს-მექანიკოსები გავგზავნოთ მტს-ებში მექანიკოსებად.

მტს-ებში ბევრი ტექნიკაა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ კმარა ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. ამიტომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახეს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების გამოშვების დიდი პროგრამა. გათვალისწინებულია 1954 წლიდან 1957 წლის 1 მაისამდე სოფლის მეურნეობას მიეცეს 500 ათასი საერთო დანიშნულების ტრაქტორი (15-ძალიანზე გაანგარიშებით), 250 ათასი სათოხნი ტრაქტორი, აგრეთვე მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა და ავტომობილი. უახლოეს წლებში მტს-ებში მიიღებენ ახალი მარკების ბევრ სათოხნ ტრაქტორს, აგრეთვე ტექნიკური და საკვები კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამუშავებელ და მოსავლის ასაღებ დიდი წარმადობის მანქანებს, თივის, სასილოსე კულტურების ასაღებ და მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის მანქანებს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია.

საჭიროა სამრეწველო სამინისტროებს მოვთხოვოთ უფრო აქტიური მუშაობა ახალი მანქანების შესაქმნელად და არსებული მანქანების გასაუმჯობესებლად. ხშირად ახალ კარგ მანქანებს, რომლებიც მეტად ესაჭიროება სოფლის მეურნეობას, სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს არასაკმაო ყურადღების გამო დიდი ხნის განმავლობაში სრულიად უსაფუძვლოდ არ ნერგავენ წარმოებაში ანდა მეტად უმნიშვნელო რაოდენობით უშვებენ. ზოგიერთი საწარმო დამაკმაყოფილებლად არ ასრულებს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების დაწესებულ გეგმებს.

ყველაფერი რიგზე როდია გამოშვებული მანქანების ხარისხის მხრივაც. სოფლის მეურნეობის მუშაკები სამართლიანად უჩივიან ამას. მთელი რიგი წლების მანძილზე კომბაინერები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები აღნიშნავენ ს-4 თვითმავალი კომბაინის სერიოზულ ნაკლოვანებებს. ეს კომბაინი არ შეეფერება სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს, განსაკუთრებით გადიდებული ტენიანობის რაიონებში. მაგრამ სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სათოხნი კულტურების — სიმინდის, მზესუმზირას, აბუსალათინის უხვი მოსავლის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს ვაწარმოოთ მწკრივთა შორის დამუშავება ტრაქტორებით ან ცხენის კულტივატორებით, მაგრამ კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისათვის საჭიროა სათესი მანქანა. ამ მიმართულებით მრეწველობა ნელა მუშაობს. მართალია, ქარხანა „კრასნაია ზვეზდა“ ქალაქ კიროვოგრადში უშვებს სათეს მანქანას სიმინდის, მზესუმზირას და სხვა კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისათვის, მაგრამ კვადრატის მისაღებად ამ მანქანაზე საჭირო ხდება ხელით კორექტირება. ხოლო კორექტირების ასეთმა წესმა თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა და კვადრატი არ გამოდის. აქ უნდა წავიდეთ ავტომატიკის გზით და გამოვიყენოთ საზომი მავთული, როგორც ეს გაკეთებულია კარტოფილის სათეს მანქანაზე. ამ პრინციპის გამოყენებამ სშ—6 სათეს მანქანაზე დადებითი შედეგები მოგვცა.

კვადრატულ-ბუდობრივი თესვისათვის სათესი მანქანები უნდა შევქმნათ სხვა სათოხნი კულტურებისთვისაც, სადაც საჭიროა ნათესის მნიშვნელოვნად მეტი სიხშირე. უნდა დავავალოთ ინსტიტუტებსა და ქარხნებს იმუშაონ ასეთი სათესი მანქანების უფრო მალე შექმნისათვის, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს—მოაწყოს გამოცდა, რათა ეს მანქანები გადავცეთ წარმოებას და შევაიარაღოთ მტს-ები. მხოლოდ იმ პირობით, როცა შემოვიღებთ თესვის მექანიზებულ წესს და მექანიზებულ დამუშავებას, შეიძლება მალე გავადიდოთ ყველა სათოხნი კულტურის მოსავლიანობა. სხვა გზა არა გვაქვს. სამრეწველო საწარმოთა მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების ღირსების საქმეა მთლიანად და ვადაზე შეასრულონ კარგი ხარისხის მანქანების გამოშვების დავალებანი.

შემდეგ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტის და მოვლა-დაცვის ორგანიზაციას. ვეღარ შევეგუებით იმას, რომ მტს-ების შესანშნავი ტექნიკა უყაირათოდ ინახებოდეს და უდროოდ გამოდიოდეს მწყობრიდან. ბევრ მტს-ს დღემდე არა აქვს სარემონტო სახელოსნოები, მანქანების შესანახავი გარაჟები და ფარდულები, აგრეთვე სხვა საწარმოო შენობები. თუ რა ცუდი მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ მტს-ებში, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტები: სარემონტო სახელოსნოები სრულიად არა აქვს 429 მტს-ს, ხოლო 5.000-მდე მტს-ს აქვს ცუდად მოწყობილი სახელოსნოები, რომლებიც არ შეეფერება რემონტის მოთხოვნებს; ბევრ მტს-ში არა აქვთ საჭირო საბინაო ფონდი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის, საერთო საცხოვრებლები ტრაქტორისტებისათვის და სხვა სადგომები. მიუხედავად ამისა, მტს-ებში საწარმოო და საცხოვრებელ შენობათა ასაგებად გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი უკანასკნელ სამ წლიწადში გამოყენებული იყო მხოლოდ 80-85 პროცენტით. ამაში ბრალი მიუძღვით უწინარეს ყოვლისა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებმაც არ მიიღეს ღონისძიებანი, რათა მთლიანად აეთვისებინათ გაღებული სახსრები. ხოლო პარტიული ორგანოები ამ საქმისადმი ჯეროვან კონტროლს არ ახორციელებდნენ.

ასეთ უყაირათობას ბოლო უნდა მოეღოს. უახლოეს სამ წელიწადში ყოველ მტს-ს უნდა ექნეს, როგორც წესი, ტიპური სარემონტო სახელოსნო, სულ ცოტა 2-3 გარაჟი ტრაქტორების შესანახავად, 2-3 ფარდული კომბაინების შესანახავად, საჭირო რაოდენობით ფარდულები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავად და სხვა საწარმოო სადგომები, აგრეთვე საცხოვრებელი სახლები. ამ მიზნებისათვის გამოყოფილია მნიშვნელოვანი სახსრები. ამოცანა ის არის, რომ სწორად, აყირათიანად გამოვიყენოთ ისინი და მივაღწიოთ დაწესებულ დავალებათა შესრულებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოწყობილობით, ინსტრუმენტით, ლითონითა და სხვა მასალებით და, განსაკუთრებით, სათადარიგო ნაწილებით მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციას.

საჭიროა გაფართოვდეს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კოლმეურნეთა ყოფაცხოვრების ელექტროფიკაციისათვის სოფლის ელექტროსადგურების ელექტროენერგიის უფრო სრული გამოყენების, ახალი სასოფლო ელექტროსადგურების და ქარძალოვანი დანადგარების მშენებლობის გზით, აგრეთვე სახელმწიფო ენერგოსისტემებზე მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთების გზით. მეტად მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობა ელექტროამძრავით მომუშავე მანქანებით.

კოლმეურნეობებში მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ახლა მეტ ნატურანაზღაურებას იღებენ. ნატურანაზღაურების ამჟამად მოქმედი განაკვეთები აგებულია ასეთ პრინციპზე: რაც უფრო დიდ მოსავალს იღებს კოლმეურნეობა, მით უფრო დიდია ნატურანაზღაურების განაკვეთები. ასეთ სისტემას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები აქვს. მოსავლიანობა ხომ დამოკიდებულია არა მარტო მტს-ის მუშაობის ხარისხზე, არამედ კოლმეურნეობის მუშაობის ხარისხზეც.

ხშირია შემთხვევები, რომ მტს-ის ერთსა და იმავე სატრაქტორო ბრიგადას მუშაობა შეუსრულებია ორ მეზობელ კოლმეურნეობაში, მაგრამ ერთ კოლმეურნეობაში მიღებულია უხვი მოსავალი, მეორეში კი — მცირე. ამ კოლმეურნეობებში მტს-ის მიერ შესრულებული მუშაობის ხარისხი კი თანასწორი იყო. რა მოხდა? ის მოხდა, რომ უხვი მოსავლის მიმღებმა კოლმეურნეობამ დათესა წმინდაჯიშიანი თესლი, გამოიყენა სასუქები. მეორე კოლმეურნეობას ეს არ გაუკეთებია და მცირე მოსავალი მიიღო. პირველი კოლმეურნეობა მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურებას იხდის უფრო დიდი განაკვეთით, ხოლო მეორე უფრო მცირე განაკვეთით, თუმცა აბსოლუტური ხარჯი ერთ ჰექტარზე მტს-მა ამ კოლმეურნეობებში თანაბარი რაოდენობით გასწია. ნატურანაზღაურების ჩაბარების შემდეგ ერთ კოლმეურნეობაშიც და მეორეშიც რჩება შრომადღეებზე გასაცემი პურისა და სხვა პროდუქტების თითქმის თანასწორი რაოდენობა.

ვითვალისწინებთ რა, რომ მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურების გადახდევინების არსებული სისტემა ამჟამად სტიმულს არ აძლევს მოწინავე კოლმეურნეობებს, საჭიროა დაწესდეს ნატურანაზღაურების მტკიცე განაკვეთები, ამასთან [illegible] ის წახალისება მოსავლ[illegible] კავშირის მინისტრთა საბჭომ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს მოამზადოს წინადადებანი ამ საკითხზე.

საჭიროა ბოლო მოეღოს არასწორ პრაქტიკას, როცა მარცვლეულისა და სხვა პროდუქციის წარმოების შედეგები ფასდება არა ფაქტიური მოსავლის მიხედვით, არამედ სახეობრივი მოსავლიანობის მიხედვით. ასეთი პრაქტიკა ხელს არ უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღების გადიდებას და კიდევაც აფერხებს ბრძოლას მოსავლის დანაკარგებთან, რომლებიც კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ დიდია. მოსავლიანობის განსაზღვრის მოქმედი წესი ხელს არ უწყობს იმას, რომ მტს-ების ხელმძღვანელებმა საქმე ბოლომდე მიიყვანონ და იზრუნონ იმისათვის, რომ არა მარტო დაამუშაონ, არამედ უდანაკარგოდაც აიღონ მოსავალი. უნდა მოეწყოს ბეღლებში შეტანილი მოსავლის აღრიცხვა და პრემიალური ანაზღაურება ხდებოდეს მიღებული მოსავლის მიხედვით, რათა მტს-ების მუშაკები უშუალოდ იყვნენ დაინტერესებულნი მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფაქტიური მიღებით.

მტს-ების საწარმოო ურთიერთობა კოლმეურნეობებთან კვლავაც მათ შორის დადებული ხელშეკრულებებით განისაზღვრება. ტიპურ ხელშეკრულებაში შეტანილ უნდა იქნას ის ცვლილებები, რომლებიც გამომდინარეობენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების წინაშე დასახული ახალი ამოცანებიდან. საჭიროა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მტს-ის ხელშეკრულებას კოლმეურნეობასთან კანონის ძალა აქვს და მისი შესრულება სავალდებულოა როგორც მტს-ების, ისე კოლმეურნეობებისათვის. ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების ამოცანაა უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი მტს-ებისა და კოლმეურნეობების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებისადმი.

ამრიგად, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა:

შეიქმნას მექანიზატორთა მუდმივი კადრები, რომლებსაც ექნებათ მაღალი კვალიფიკაცია, რისთვისაც ძირეულად გარდაიქმნას ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და სხვა მექანიზატორების სწავლების სისტემა, მოკლევადიანი კურსები შეიცვალოს მექანიზაციის სასწავლებელთა ქსელით;

განმტკიცდეს მტს-ების ხელმძღვანელი კადრები;

გაძლიერდეს მტს-ების როლი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში, გადაჭრით გაუმჯობესდეს ტექნიკის გამოყენება, უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულება საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალი ხარისხით;

თვითეულ მტს-ში აშენდეს სახელოსნოები ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად, გარაჟები და ფარდულები. გაჩაღდეს მუშაობა მტს-ების სპეციალისტებისა და მუშებისათვის საცხოვრებელი სახლების ასაგებად.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისადმი, მიაღწიონ მათი როლის გაძლიერებას კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ეს არის წარმატების საწინდარი.

6. სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობისა და კოლმეურნეობებისადმი აგრონომიული და ზოოტექნიკური დახმარების გაძლიერების შესახებ

ამხანაგებო! სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების ჩამორჩენილობის დაძლევისა და მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალ, უფრო მაღალ დონეზე აყვანის ამოცანები სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს.

სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში მუშაობს ათეულათასობით სპეციალისტი, რომლებიც ერთგულნი არიან ჩვენი პარტიისა და მთელ ძალასა და ცოდნას ახმარენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ მთლიანად სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მდგომარეობის სიმაღლეზე იმყოფებიან? არა, ამხანაგებო, ამას ვერ ვიტყვით. ფაქტები ცხადყოფენ, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო შეუწყნარებლად ჩამორჩებიან ცხოვრების მოთხოვნებს, ვერ ითვალისწინებენ იმ ცვლილებებს, რაც კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაც კი არ შეესაბამება კოლმეურნეობებისა და მტს-ების მიერ წამოყენებული საკითხების ოპერატიულად გადაჭრის მოთხოვნებს. ეს სტრუქტურა მეტად მოუქნელია, შეიცავს მრავალ სამმართველოსა და განყოფილებას, რომლებიც ერთსა და იმავე საქმეს აკეთებენ და ხშირად ფუჭად მუშაობენ. გასაკვირველი როდია, რომ სამინისტრო ვერ იჩენს ოპერატიულობასა და სიზუსტეს ადგილობრივი ორგანოებისადმი ხელმძღვანელობაში, ურიგდება ბიუროკრატიზმსა და გაჭიანურებას გადაუდებელი საკითხების გადაჭრაში. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრო სუსტად არის დაკავშირებული პრაქტიკასთან, მოწყვეტილია კოლმეურნეობებსა და მტს-ებს. არ იცის რა საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ადგილებზე, სამინისტრო მაინც ცდილობს ცენტრიდან გაუწიოს რეგლამენტაცია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების საქმიანობის ყოველ მხარეს, მისცეს ისეთი მითითებანი, რომლებიც ხშირად ადგილებზე არ ესაჭიროებათ.

ჰკითხეთ ამხანაგებს ჩრდილოეთ კავკასიიდან, შეჰკითხვიან თუ არა ისინი როდისმე სამინისტროს, თუ როგორ უნდა მოიყვანონ ხორბალი? დარწმუნებული ვარ, რომ უარყოფით პასუხს მიიღებთ. უკრაინელ მუშაკებს სამინისტროსათვის არ მიუმართავთ შეკითხვით, თუ როგორ მოიყვანონ შაქრის ჭარხალი, ხოლო უზბეკეთის მუშაკებს, — თუ როგორ დაამუშაონ ბამბა. ეს გასაგებიც არის, რადგან ჩვენ ადგილებზე გვყავს გამოცდილი კადრები, ხოლო სამინისტროს მუშაკები განაგრძობენ ხელმძღვანელობას ძველებურად და ეყრდნობიან ყალბ წარმოდგენას, რომ მარტო მათ იციან ყველაფერი და შეუძლიათ ყველაფერი.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „შეცდომა იქნებოდა, ჩვენ რომ უბრალოდ შაბლონურად გადაგვეწერა დეკრეტები რუსეთის ყველა ადგილისათვის...“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 173). იგი ამბობდა: „უდიდესი სისულელე იქნება, რომ ცენტრალური რუსეთი, უკრაინა და ციმბირი გავაშაბლონოთ, გარკვეულ შაბლონს დავუქვემდებაროთ“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 32, გვ. 269). ეს მითითებანი დღევანდელი დღისთვისაც აქტუალურია.

სამინისტროს მუშაობის ნაკლოვანებანი განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკით. გეგმებში შედის ბევრი ზედმეტი მაჩვენებელი, რომლებიც ბოჭავენ ადგილობრივი ორგანოების, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ინიციატივას. საკმარისია ითქვას, რომ მარტო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგში კოლმეურნეობებისათვის მიცემულ საგეგმო დავალებებში ითვლება 200-დან 250-მდე მაჩვენებელი. ამასთან ცენტრიდან იგეგმება ისეთი ღონისძიებანი, როგორიც არის, მაგალითად, ჯიშთაშორისი შეჯვარებით მიღებული ღორების გასუქების შეწყვეტა, კულისებიან ანეულში მაღალღეროიანი მცენარეების თესვა და ბევრი სხვა.

მეტისმეტად ბევრმა დავალებამ, რომლებიც ბევრ მაჩვენებელს შეიცავენ, გამოიწვია ყოველგვარი ანგარიშგების უსაზღვრო გაბერვა. სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და კოლმეურნეობათა მუშაკების უდიდესი რაოდენობა უნდება სხვადასხვა ნაკრები ცნობებისა და ანგარიშგების შედგენას. ყოველი კოლმეურნეობა წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის რაიონულ ორგანოებს უდგენს საანგარიშგებო ცნობებს დაახლოებით ათი ათასი მაჩვენებლის მიხედვით. ომამდელ პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობათა ანგარიშგების მაჩვენებლები თითქმის რვაჯერ გადიდდა.

თუ ჩვენ ვაკრიტიკებთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამით კნინდება მისი როლი. პირიქით, სამინისტროს როლი კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს. შეცვლილი ვითარების შესაბამისად სამინისტროს სტრუქტურა უნდა გადაისინჯოს, ხოლო შტატები მნიშვნელოვნად შემცირდეს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტრომ უნდა იმუშაოს უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობისა და მისი ცალკეული დარგების დაგეგმვაზე, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და დაფინანსებაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაზე, კადრების შერჩევასა, განაწილებასა და მომზადებაზე, მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის საკითხებზე, აგრეთვე ორგანიზაციულ-საკოლმეურნეო საკითხებზე.

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო უნდა გადიდდეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროების, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამხარეო და საოლქო სამმართველოების მნიშვნელობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა განვამტკიცოთ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები კვალიფიციური კადრებით, გადავსინჯოთ მათი სტრუქტურა, შევამციროთ შტატები და მივუახლოოთ წარმოებას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზეა ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის 57 პროცენტზე მეტი და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 62 პროცენტი. რუსეთის სფსრ ნათესი ფართობები შეადგენენ სსრ კავშირის მთელი ნათესი ფართობების 62 პროცენტზე მეტს. ფედერაციის მეცხოველეობის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში არსებული პირუტყვის საერთო სულადობაში 50 პროცენტს აღემატება.

(დასასრული შემდგე ნომერში)

სოფლის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა

გორელ კოლმეურნეთა აზრი და გრძნობა

გორი. (საკ. კორ.). ამ დღეს აგიტატორი მარიამ ჯოჯიშვილი ჩვეულებრივზე ადრე მივიდა ბრიგადაში.

— ნამდვილად ხასიხარულო ამბავს გვაუწყებს, ასე ადრე რომ გვესტუმრა, — კმაყოფილებით ჩაილაპარაკეს კოლმეურნეებმა.

მალე აგიტსაუბარი დაიწყო. მებოსტნე კოლმეურნეები თამარ კოშორიძე, ვერა მარღიშვილი, დავით ბასილაშვილი, შალვა კანიაშვილი, არსენ კუსრაშვილი, ასან როსტომოვი და სხვები აგიტატორს გულდასმით უსმენდნენ. იგი კოლმეურნეებს აცნობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას.

ამჯერად საუბარმა დიდხანს გასტანა, მაგრამ აგიტატორს არასდროს არ ახსოვს მსმენელთა ისეთი დიდი ყურადღება, როგორც დღევანდელმა საუბარმა გამოიწვია.

სიტყვა ბრიგადირმა გიორგი ბასილაშვილმა აიღო. მან განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სექტემბრის დადგენილება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის აყვავების დიად პროგრამას. ეს დადგენილება ასახავს ჩვენი პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას კოლმეურნეობათა შემდგომი გაძლიერებისა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ბრიგადის წევრთა სახელით ვალდებულებას ვკისრულობ მომავალ წელს თვითეულ ჰექტარ ნათესზე მივიღო 240 ცენტნერი კომბოსტო, 150 ცენტნერი პამიდორი, 90 ცენტნერი ხახვი და 120 ცენტნერი კიტრი. მნიშვნელოვნად გავადიდო აგრეთვე სხვა ბოსტნეულ კულტურათა მოსავლიანობა. ამისათვის მოგვიწოდებს სახელმწიფოს ზრუნვა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების განვითარებისათვის და დიდი მატერიალური დაინტერესება.

გვიან საღამოს სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობა „განთიადის“ მინდვრებში სამუშაო დღე დასრულდა. ელექტრონათურებით გაჩირაღდნდა კოლმეურნეთა ბინები. დიდხანს არ დაუძინიათ მთელი დღის ხალისიანი შრომით დაღლილ კოლმეურნეებს, ისინი კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ თავიანთ ხვალინდელ ცხოვრებაზე.

დიდი სიხარული

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები დიდი სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

— ეს ისტორიული დოკუმენტი, — განაცხადა დადგენილების გაცნობისას ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. დევაძემ, — ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას არა აქვთ სხვა ინტერესები გარდა იმისა, რომ დააკმაყოფილონ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის განუხრელად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

— ჩვენ, ურეხელი კოლმეურნეები, ძალღონეს არ დავზოგავთ, რათა სასახელოდ შევასრულოთ ამ ისტორიული დადგენილებიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მკვეთრად გავადიდოთ ჩაის, ციტრუსოვანი კულტურებისა და ტუნგოს მოსავლიანობა, გაღაჩრით ავამაღლოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ვკისრულობთ გეგმის გადამეტებით ჩაგაბაროთ მრეწველობას 20 ტონა ჩაის ფოთოლი და 100 ათასი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, თვითეულ ძროხაზე წლის განმავლობაში მივიღოთ 400 ლიტრით იმაზე მეტი რძე, რაც გეგმით არის გათვალისწინებული.

პლენუმის დადგენილებას ფართოდ ეცნობიან და ახალ კონკრეტულ ვალდებულებებს კისრულობენ ამავე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ქუთაისელ კოლმეურნეთა ხმა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის რაიონში კოლმეურნეები დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. სოფელ ქვიტირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადის ხელმძღვანელმა ი. ჩოგოვაძემ დადგენილების გაცნობისას თქვა:

— ამ ახალ დოკუმენტში გამოხატულია ჩვენი ფიქრი და აზრი. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია სისხლხორცეულად დაკავშირებულია ხალხთან, იცის ჩვენი საჭიროებანი და ყველაფერს აკეთებს ჩვენი კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ ისტორიულ დადგენილებას ვუპასუხებთ იმით, რომ ბრიგადაში კიდევ უფრო უკეთ მოვაწყობთ შრომას, ბოსტნეულის მოყვანის საქმეში ფართოდ დავნერგავთ მაღალ აგროტექნიკას, და მთელ მუშაობას ისე წარვმართავთ, რომ თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 145 ცენტნერი პამიდორი, 120 ცენტნერი კიტრი.

კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სიტყვას აძლევენ პარტიას და მთავრობას, რომ მთელ თავიანთ ძალას მოახმარენ იმ ამოცანების განხორციელებას, რაც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ.

მცხეთის რაიონი. მტს-ის აგიტატორი ამხ. გ. ბელაშვილი სოფელ წეროვანის კოლმეურნეებსა და მტს-ის მექანიზატორებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

სოფელ წეროვანში

მცხეთა. (ტელეფონით). სამხრობა გადასული იყო, როცა სოფელ წეროვანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე ხალხმა თავმოყრა იწყო. სამინდის მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებიც მოვიდნენ. მათ მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიზატორები შემოეერთდნენ.

პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ხუჯაძემ კოლმეურნეებს და მექანიზატორებს გააცნო საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ მიღებული ისტორიული დადგენილების შესახებ და შემდეგ სიტყვა მისცა მტს-ის აგიტატორს ამხ. გ. ბელაშვილს.

კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს აგიტატორის ნაამბობი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

აგიტატორმა საუბარი დაამთავრა, მაგრამ მის ირგვლივ თავმოყრილი ხალხი არ დაშლილა. კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გულისნადები. კოლმეურნეობის ბრიგადირმა, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. იასონ სოხაშვილმა თქვა:

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უაღრესად დიადი პროგრამა დაგვისახა: მასში დასმულია გადიდებული ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენი კოლმეურნეობა მრავალ დარგს მისდევს. მათი შემდგომი განვითარებისათვის მოგვეპოვება ულევი რეზერვები. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოვიპოვეთ, გავადიდეთ ხორბლის მოსავლიანობა, ყურადღების ცენტრში დავაყენეთ მებოსტნეობის შემდგომი განვითარების საკითხი, მთელი ენერგიით დავიწყეთ მუშაობა საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობისათვის.

კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან

მაგრამ ახლა, როცა ხელთა გვაქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, ჩვენთვის ნათელია ის სერიოზული ნაკლოვანებანიც, რაც მუშაობაში გვაქვს. უწინარეს ყოვლისა ძალიან ჩამოვრჩებით მებოსტნეობისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში. შარშან კარტოფილი ორ ჰექტარზე გვეთესა და იქიდანაც მცირე მოსავალი მივიღეთ. ჩვენი მეცხოველეობის ფერმები ძალიან მცირე შემოსავალს იძლევიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ პირუტყვის მოვლა-პატრონობა ვერა გვაქვს კარგად დაყენებული. საქმე ის არის, რომ მტს-ის მექანიზატორებიც ისე ვერ გვეხმარებიან, რომ ყოველწლიურად უხვი და მყარი ნოსავალი მივიღოთ. პლენუმის დადგენილება ჩვენი მოქმედების დიადი პროგრამაა. მთელი ძალების მობილიზაციით უზრუნველვყოფთ მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიული დადგენილების წარმატებით განხორციელებას.

ტრაქტორისტმა გიორგი მუზაშვილმა მტს-ის ყველა მექანიზატორთა გრძნობა და აზრი გამოხატა, როცა გარშემოხვეულ კოლმეურნეთა წინაშე განაცხადა:

— ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებით აამაღლა ჩვენი, მექანიზატორების როლი და მნიშვნელობა. ის ღონისძიება, რომ ამიერიდან მტს-ის შტატში ვიქნებით ჩარიცხულნი ყველანი — ტრაქტორისტებიც, კომბაინერებიც და სხვა სპეციალობის მუშაკებიც, უდიდეს სტიმულს გვაძლევს უკეთესი მუშაობისა და ჩვენი მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამასთან დიდი და სერიოზული პასუხისმგებლობა გვეკისრება. როგორც ვიცი, თქვენი კოლმეურნეობის ნაკვეთებში მომუშავე მტს-ის პირველი სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა ბრიგადირ გიგლა ბულაჩაშვილის მეთაურობით უკვე სამემოდგომოდ მოხნეს 459 ჰექტარი და 40 ჰექტარზე კიდეც დათესეს. შარშან ამ დროს ამის ნახევარიც არ იყო გაკეთებული. დაწყებულ საქმეს კარგი პირი უჭირს. პლენუმის დადგენილება კი ენერგიას გვიათკეცებს. პირობას გაძლევთ სხვა დავალებებიც უფრო შემჭიდროებულ ვადებში და უკეთესად შევასრულოთ.

კოლმეურნეობის მერგოლურმა მარიამ სოხაშვილმა, აღნიშნა რა პარტიის მიერ მიღებულ ახალ ღონისძიებათა უდიდესი მნიშვნელობა, განაცხადა:

— ჩვენი მოვალეობაა ვიმუშაოთ პატიოსნად, თავდადებით, პასუხისმგებლობის გრძნობით. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა უფრო მეტად შეგვიწყოს ხელი ყველა დარგის სამუშაოთა მექანიზაციით. სიმინდს რატომ უნდა ვამუშავებდეთ თოხით, რატომ უნდა ვიღებდეთ მის მოსავალს ხელით? ჩვენმა საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ ისეთი მძლავრი მრეწველობა შექმნეს, რომ ის ყველა სახის მანქანებს უშვებს. სიმინდის დასამუშავებელი მანქანებიც მალე გვექნება. ამაზე კარგი რაღაა.

მთელმა რიგმა კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მოსავლიანობის გადიდებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის თავდადებულ ბრძოლას. კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის საწარმოო მეგობრობის შემდგომ განვითარებას, საკოლმეურნეო წარმოების დონის გადაჩრით ამაღლებას.

შევქმნით პროდუქტების სიუხვეს

ამ დღეს დილით ადრე გავიდნენ სამუშაოდ გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის პირველი ბრიგადის წევრები. შესვენების დროს მათთან მივიდა ბრიგადირი პ. ეფრემიძე. მან შეკრებილთ გულდასმით გააცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ბრიგადირმა თავის საუბარში ამასთან ერთად აღნიშნა, რომ პლენუმის ისტორიული დადგენილება იძლევა სტიმულს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, მათ შორის მებოსტნეობის მკვეთრად განვითარებისათვის. ჩვენ გვაქვს ბოსტნეულის მოყვანის გამოცდილება. მაგრამ იგი საკმარისი არ არის. მოსავლიანობის სისტემატურად ამაღლებას მაშინ მივაღწევთ, თუ ფართოდ დავნერგავთ ხვნის, რგვის, თესვის, რწყვის და სხვა სამუშაოთა მექანიზაციას, ხელით შრომას ძირითადად შევცვლით მანქანური შრომით. ამას ითვალისწინებს პლენუმის დადგენილება და იგი განუხრელად უნდა შევასრულოთ.

თბილისის გარეუბნის რაიონის კოლმეურნეებთან

— მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, — თქვა მერგოლურმა ა. ქაჯაიამ, — ახარებს ჩვენს გულს. დადგენილებაში დასახულია დიდი ღონისძიებები მებოსტნეობის ფართოდ განვითარებისათვის. როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, დავეუფლებით კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვის, თესვის საქმეს, ბოსტნეულის ჩითილის გამოყვანას მოვაწყობთ ტორფნეშომპალიან ქოთნებში. ეს მნიშვნელოვნად გაადიდებს მოსავალს და უზრუნველყოფს ბოსტნეულის უფრო ადრე დამწიფებას.

დადგენილებას გულდასმით გაეცნენ და ერთსულოვნად მოიწონეს კოლმეურნეებმა გ. კლაჯეიშვილმა, ვ. ჯიქიამ, ლ. ძიძიგურმა, ს. ქარუმიძემ, ქ. ჯალაღანიამ, მარიამ ჯიშკარიანმა, დომნა ქაჯაიამ, თამარ ძიძიგურმა და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ ამ ღონისძიებით აღფრთოვანებულნი ენერგიულად იშრომებენ და მიაღწევენ ბოსტნეულის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას, 1954 წელს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ ოც ტონამდე პამიდორს, ასევე გაადიდებენ კომბოსტოს, კიტრის, ხახვის და სხვა ბოსტნეულის მოსავლიანობას.

მებოსტნეებმა მოითხოვეს სასათბურე მეურნეობის შემდგომი განვითარება. კოლმეურნეობაში დიდი ხანია დაწყებულია სათბურის მშენებლობა. ეს სამუშაო ახლა შეჩერებულია. ამას ახლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. საჭიროა მოგვარდეს ბოსტნეული კულტურების თესვის აგროგანლაგება, რაც ხელს შეუწყობს მექანიზაციის სრულყოფილად განხორციელებას.

კოლმეურნეობის თვითეული წევრი სიხარულით ეცნობა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას. ისინი ღრმა კმაყოფილების გრძნობით აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ნ. ჯანჯღავა.

თბილისი

მედიკამენტები მოსახლეობისათვის

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა 45 სხვადასხვა სახის ძვირფას მედიკამენტებს ამზადებს. მათ შორის არის მთელი რიგი პრეპარატები, რომლებსაც მხოლოდ ეს ქარხანა უშვებს. ასეთ მედიკამენტებს ეკუთვნის ვაშლმჟავა რკინა, რომელიც მზადდება მაყალოსგან და იხმარება სისხლნაკლებობის სამკურნალოდ. წლის ბოლომდე ქარხანა რამდენიმე ტონა ვაშლმჟავა რკინას გაგზავნის მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკსა და სხვა ქალაქებში.

ქარხანა აზადებს აგრეთვე ტანინს, ტანალბინს, ალოეს ექსტრაქტს ამპულებით. ეს ექსტრაქტი მზადდება აკადემიკოს ფილატოვის მეთოდით და იხმარება თვალის ზოგიერთი დაავადების, აგრეთვე ძვლის ტუბერკულოზის, ასტმისა და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ. წელს ქარხანა გამოუშვებს მილიონობით ამპულა ალოეს. ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა მხარეში უკვე გაგზავნილია რამდენიმე მილიონი ამპულა.

წელს ქარხანა გაცილებით მეტ სამედიცინო პრეპარატებს გამოუშვებს, ვიდრე შარშან.

საყოფაცხოვრებო კომბინატები

თბილისში ორჯონიკიძის, მოლოტოვისა და 26 კომისრის რაიონებში არსებობს სარეწაო კავშირის საყოფაცხოვრებო კომბინატები. კომბინატებში წარმოებს მოქალაქეთა ტანსაცმლის შეკეთება, დასუფთავება, დაუთოება, ფეხსაცმლის, საოჯახო ნივთების შეკეთება და სხვ. მიმდინარე წლის 7 თვეში კომბინატებმა მომსახურება გაუწიეს 87.000 კაცს.

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით კომბინატები აფართოებენ მუშაობის ფარგლებს. ყალიბდება ბინების დამსუფთავებელთა, შემკეთებელთა ბრიგადები. უახლოეს ხანში გაიხსნება კომბინატების 39 ფილიალი. მომავალ წელს საყოფაცხოვრებო კომბინატები მოეწყობა ლენინის, სტალინის და კალინინის რაიონებში.

იზრდება მოთხოვნილება მსუბუქ ავტომანქანებზე

ყოველწლიურად იზრდება მშრომელთა მოთხოვნილება მსუბუქ ავტომანქანებზე. მანქანათგასაღების მთავარი სამმართველოს საქართველოს კანტორის საფირმო მაღაზიამ მიმდინარე წლის 8 თვეში გაყიდა 747 მსუბუქი ავტომანქანა, აქედან 178 „პობედა“, 561 „მოსკვიჩი“ და 8 „ზიმი“.

მანქანების დიდი ნაწილი შეიძინეს ქვანახშირის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეებმა. ამას წინათ „პობედა“ იყიდეს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველმა შ. ფურცხვანიძემ, № 6 შახტის ზეინკალმა ვ. ივანეცმა, № 5 შახტის მთავრმა მექანიკოსმა ლ. ჩელტიშვილმა.

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

მიმდინარე წელს მოხდა ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეორგანიზაცია. იგი შეივსო საუკეთესო ძალებით და დაკომპლექტდა 130 კაცის შემადგენლობით. მას ბატონელ ხელმძღვანელობას უწევს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ვ. ცაგარეიშვილი. მთავარი ქორეოგრაფია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჯავრიშვილი, დირიჟორები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ს. გველესიანი, ი. მჭედლიშვილი და კ. პაპკორია.

ანსამბლთან შექმნილია ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს კ. ვაშაკიძე.

ანსამბლს, გარდა ქართული სიმღერებისა, რეპერტუარში შეტანილი აქვს მოძმე რესპუბლიკების ხალხური სიმღერები და ცეკვები, აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორების თანამედროვე ნაწარმოებები.

12 და 13 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ანსამბლის პირველი კონცერტები. შესრულებულ იქნა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

გ. ძნელაძე.

რამდენიმე სტრიქონით

მოლოტოვის რაიონში რეკონსტრუირებული და კეთილმოწყობილია ორი ქუჩა — ნორიოს აღმართი და ქედის შესახვევი. ამ ქუჩებს გაუკეთდა ქვაფენილი, ტროტუარები, საყრდენი კედლები. კაპიტალურად შეკეთდა კალინინის მოედანი და 6 ქუჩა, მიმდინარე რემონტი შესრულდა 18 ქუჩაზე. მიმდინარეობს კიბალჩიჩის ხევის გადახურვა, რაც საგრძნობლად გაუმჯობესებს ახლომახლო ადგილების სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებს.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ახალი სასწავლო წლიდან მუშაობს 400-მდე სხვადასხვა წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 7.000-ზე მეტი პიონერი და მოსწავლე. წელს შეიქმნა ენერგეტიკის კაბინეტი და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განყოფილება. მოეწყო ბავშვთა სათამაშოების ოთახი, ჩამოყალიბდა რუსული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დიდუბის ქუჩაზე გამოუყო მიწის ნაკვეთი ორთქლმავლების მემანქანეთა სკოლის მშენებლობისათვის. მშენებლობა დაიწყება მომავალი წლის პირველ კვარტალში და დამთავრდება 1955 წლის ბოლოსათვის.

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ლენინგრადი. (სპეც. კორ.). კიროვის სახელობის კულტურის სახლში დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 17 გუნდი.

ასეთი სახის შეჯიბრება პირველად ლენინგრადში გაიმართა 1948 წელს, როდესაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის გუნდმა. მეორე ჩემპიონატი გაიმართა თბილისში 1951 წელს. აქ გამარჯვებული გამოვიდა რსფს რესპუბლიკის გუნდი.

მიმდინარე წლის პირველობა ტარდება ახალი სისტემით. მონაწილე გუნდები გაყოფილია ორ ჯგუფად. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში შედიან უზბეკეთის, რსფს რესპუბლიკის, ბელორუსიის, ლენინგრადის, ლატვიის, სომხეთის, ლიტვის და ყირგიზეთის გუნდები, მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში — მოლდავეთის, საქართველოს, ტაჯიკეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის, აზერბაიჯანისა და მოსკოვის გუნდები.

ნახევარფინალში გამარჯვებული 4-4 გუნდი მონაწილეობს ფინალში.

საქართველოს გუნდი პირველ ტურში შეხვდა მოსკოვის გუნდს. შეჯიბრება მწვავე და საინტერესო ბრძოლით აღინიშნა და დამთავრდა ფრედ 5:5.

ამ შეხვედრაში კასპარიანმა დაამარცხა ოსტატი ლივშინი, ბლაგიძემ ოსტატი ჩისტიაკოვი, ქარსელაძემ ოსტატობის კანდიდატი უუსი, გოგიავამ საერთაშორისო ოსტატი რუბცოვი, ყაიმით დაამთავრეს თავისი პარტიები შიშოვმა და გურგენიძემ.

მეორე ტურში საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდნენ მოლდავეთის მოჭადრაკეებს. თამაში ჩვენმა სპორტსმენებმა ბრწყინვალე შედეგით დაამთავრეს და მოიგეს ანგარიშით 10:0.

ამრიგად, საქართველოს გუნდმა ორი ტურის შემდეგ 20 შესაძლებლიდან შეაგროვა 15 ქულა. მესამე ტურის წინ ჩემპიონატს ლიდერობდნენ უკრაინის (16½ ქულა), საქართველოს (15 ქულა) და მოსკოვის (13 ქულა) გუნდები.

მესამე ტურში საქართველოს გუნდი ისვენებდა.

ჟ. გოგიავა.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს, რომ სახელმწიფო გამოცდები აწარმოებს პირველიდან 30 ოქტომბრამდე. განცხადებები სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების შესახებ მიიღება 25 სექტემბრამდე. გამოცდების ჩაბარების უფლება აქვთ სტაციონარისა და დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს, რომლებმაც 1951, 1952 და 1953 წლებში ჩააბარეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

16 სექტემბერს	ბ. ასაფიევი — **ბალჩისარაის შადრევანი**
17 სექტემბერს	ლ. დელიბი — **ლაკმე**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **გერვასი სპირიდონის-ძე ყიფშიძემ,** მცხოვრებმა სახალხო ქ. № 19, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ევდოკია ნიკოლოზის ასულ ყიფშიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ლ. ი. შუკზელმა,** მცხოვრებმა კეცხოველის ქ. № 20, აღძრა საქმე ფურცელაძის ქ. № 14 მცხოვრებ მოქალაქე **ვ. ი. ლაპიდუსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება **გიორგი ჯინჭარაძის** გარდაცვალებას.

პირველი მუსიკალური სასწავლებლის დირექცია, პარტორგანიზაცია და პედაგოგები იუწყებიან **ანა თედორეს ასულ ახობაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის საჩხერის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომს მუშაკები იუწყებიან **იასონ ღვინიანიძის** გარდაცვალებას.

ჩაის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველო იუწყება **იპოლიტე პლატონის-ძე მამულიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX ცხაკაიაში.

მშობლები მარიამ, მიხეილ, მეუღლე ელენე, შვილი იამზე, ძმები არსენ, გიორგი, ვასილ, ვახტანგ, მირიან, ვაჟა ოჯახებით იუწყებიან **ილია მიხეილის-ძე ბეჭაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IX ფასანაურში.

მეუღლე ბარბარე, შვილები თამარ, ვასილ, ნიკოლოზ ლომსაძეები, შვილიშვილები ენრი, დოდო, თემურ, ამირან, რძლები რაია, ეთერ, სიძე ე. ლაკტიონოვი იუწყებიან **გიორგი სპირიდონის-ძე ტომხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IX, 5 ს. ქ. ხაშურში, გამოსვენება ბინიდან, მალენკოვის ქუჩა № 53.

ვ. ქერქაძე, ა. იმედაძე, ლ. ტაბიძე, დ. ბეშკენაძე, მ. თუთბერიძე, გ. რუხაძე, ვ. ირემაძე, ა. იოსელიანი, გ. იაშვილი, გ. მეფისაშვილი, გ. ყურაშვილი იუწყებიან **ზურაბ ჟანჩაველის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-06-87, ხამდივნოსი — 8-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 8-81-84, მარქსიტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის — 8-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და ხალმეთა მმართველობის — 8-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ჯგუფის — 8-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 8-73-24, განცხადებების — 8-51-81, გამომწვევის — 8-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 8-65-41, სტამბის დირექტორის — 8-77-70.

УЭ 11161 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.